# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 ივლისი 2007 №157 (3080) ფასი 50 თეთრი


# ევროპული საქართველო

## ოლიმპს, დინამოს და ამერს ფურცლები შემოაკლდათ







# კალაძე მილიტომ დახურა



## ბარსელონა ქართულად აღარ ფიქრობს



გიორგი გაფრინდაშვილი

# ცოტა, ძალიან ცოტა...

ძალიან ცოტა დააკლდა ქართველ კალათბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებს და მთელს ევროპას აალაპარაკებდა. ისრაელის დამარცხება თავისთავად არ იქნებოდა სენსაცია, მაგრამ ქართველებს ეს რომ მოეხერხებინათ, ნახევარფინალში გასვლაზე ხმამაღალ განაცხადს გააკეთებდნენ.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე ქართველების მეორე ადგილზე გასვლაც გვარიანი მოულოდნელობა იყო საკალათბურთო ევროპისთვის და ისრაელთანაც ჩვენები ყველას განწირული ეგონა.

დავით უსტიაშვილის გუნდი მართლაც უიმედოდ აგებდა დასაწყისში, მაგრამ მეორე ტაიმიდან ისე შეუტია ალთქმული მიწის შვილებს, რომ ლამის გამარჯვებამდე მივიდა.

პირველი ტაიმის შემდეგ 13 ქულით ჩამორჩენილი საქართველო საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე 70:72 მიუახლოვდა მრისხანე მეტოქეს, მაგრამ...

ეს ის შემთხვევაა, როცა ნაგებაზე გული კი გწყდება, მაგრამ იმდენად მებრძოლი და გაუტეხელი იყო შენი გუნდი, რომ...

# მგლებთან მგელი

**გუშინ** ურეკში რუსთავის „ოლიმპმა“ ზუგდიდის „მგლებთან“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა და 2:1 გაიმარჯვა.

რუსთაველები პირველი ტაიმის მიწურულს ალექსანდრე კოშკაძემ დააწინაურა. მეგრელებს მალევე შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ რევაზ ჯიქიას პენალტი მიხეილ ალავიძემ მოიგერია.

ოლიმპელთა მეორე გოლი მაროკოელმა თავდამსხმელმა ბუდჰი ბუხვანგამ გაიტანა.

რაც „ოლიმპში“ ჩამოვიდა, ამ დალალებიანი ბიჭის ანგარიშზე 5 თამაშში 4 გოლია.

ზუგდიდელმა ფარულავამ ერთი გოლი კი გაქვითა, მაგრამ „მგლებმა“ მეტი ვეღარ შეძლო.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ოლიმპი: მ. ალავიძე, ორბელაძე, ჭიჭველიშვილი, აკუასაგა, ნავალოვსკი, გეწაძე, ხუბუა, კოშკაძე, კახელიშვილი, ბუხვანგა, დვალი.*

*შეცვლაზე შევიდა მახვილაძე.*

*მგლები: დევაძე, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, კუტალია, წურწუმია, კრასოვსკი, რ. ჯიქია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ივარდავა, გაბედავა, ჯოჯუა, ჭკადუა, ჭედია, ბაკარანძე, ქომეთიანი, დ. კუტალია.*

გუშინვე „ოლიმპი“ თბილისში დაბრუნდა და ყაზახურ „ასტანასთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩამდე დედაქალაქში ივარჯიშებს, ზუგდიდელები კი ისევ ურეკში დარჩებიან და 15 ივლისს „ზესტაფონს“ გაეჯიბრებიან.



„ოლიმპის“ თავკაცი ვარლამ კილასონია

ნუკრი ლოლაძე

# მერანი თავს იფვირთავს



თამაზ კოსტავა

**კოჯრულ** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „მერანმა“ გუშინ „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ორი მატჩი გამართა.

პირველ შეხვედრაში მერანელებს მეტოქედ „გაგრა“ ჰყავდათ და 2:1 იმარჯვეს. გოლები მიხეილ კობერიძემ და ბექა ნოზაძემ გაიტანეს.

„მერანის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *თევდორაძე, ჯანგიძე, ბოკუჩავა, კეტაშვილი, ხიზანიშვილი, კამლაძე, კობერიძე, ფურთუხია, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე, პეტრიაშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ქორიძე, ნოზაძე, იაშვილი, ცნობილაძე.*

მეორედ თბილისელებმა გორის „დილასთან“ 1:1 ითამაშეს. გორელები დავით ხანიშვილის გოლით პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა იაკობ დეისაძემ გაათანაბრა.

თამაზ კოსტავამ „დილასთან“ ეს ფეხბურთელები ათამაშა: *სეფიაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლოლაძე, ხარალიძე, ლ. კრიგალაშვილი, ავალიანი, ფურთუხია, ტყეშელაშვილი, ბ ნოზაძე, ქემაშვილი, სევასტოპულო.*

*შეცვლაზე შევიდნენ: იაკობ დეისაძე, ჯანგიძე.*

„მერანი“ 14 ივლისსაც ორ მატჩს გამართავს — მეტოქეები თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და ბოლნისის „სიონი“ იქნებიან.

ნუკრი ლოლაძე

# ცხინვალი ივსება: ქორქიკაშვილი მთავარ მწვრთნელად, ნემსაძე ვიცე-პრეზიდენტად



კობა ქორქიკაშვილი

**„ცხინვალი“** თითქმის უმაღლესლიგელია და გუშინ შევიტყვეთ, რომ ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად კობა ქორქიკაშვილი დაინიშნა. როგორც ჩანს, „ცხინვალი“ სულაც არ იქნება ხელწამოსაკრავი გუნდი ახალ სეზონში, რამეთუ სამაჩაბლოელები რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებასაც აპირებენ.

ისიც შევიტყვეთ, რომ „ცხინვალის“ ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ნემსაძე იქნება...

მოკლედ, სამაჩაბლოელებს სერიოზული მიზნები აქვთ და ალბათ უმაღლესი ლიგის საგზურსაც ამ კლუბს გაუფორმებენ.

ნუკრი ლოლაძე

# ზესტაფონი ზღვიდან მთაში

**ინტერტოტოს** თასიდან გავარდნილი „ზესტაფონი“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას აგრძელებს და, როგორც გუშინ გაუწყეთ, შეკრების გასავლელად ურეკს ეწვია.

ზესტაფონური კლუბის პრესსამსახურის ცნობით, თემურ მახარაძის გუნდი ზღვისპირეთში 19 ივლისამდე მოემზადება, მერე შინ დაბრუნდება, 22 ივლისს კი თურქეთში გაემგზავრება. იმერლები ქალაქ ანკარასთან ახლომდებარე სამთო კურორტზე დაბინავდებიან და რამდენიმე ტესტ-მატჩსაც გამართავენ.

ბაჩა შალამბერიძე



# სიცოცხლის ნიშნები კითხვის ნიშნებს

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე 14 გუნდიდან ერთი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას — საჩხერის „ჩიხურას“ ალბათ „ცხინვალი“ ჩაენაცვლება.

დანარჩენი გუნდებიდან გაურკვეველ მდგომარეობაშია „ბორჯომი“, „ბათუმი“ და ქუთაისის „ტორპედო“. მათგან ყველაზე უკეთ საქმე ბორჯომელებს აქვთ. კურორტელებს რეგიონის ხელმძღვანელობამ მცირე ფინანსებიც გამოუყო, თუმც გუნდი უფრო თბილისის „დინამოს“ იმედად რჩება — როგორც გუნდის მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ გვითხრა, ვარჯიშს ადგილობრივი ფეხბურთელებით აგრძელებს, თუმც „დინამოს“ გერმანული შეკრებიდან ჩამოსვლას ელისდა, სავარაუდოდ, ბორჯომელები „დინამოდან“ რამდენიმე ფეხბურთელს ინათხოვრებენ.

ისევ გაურკვეველია ბათუმელთა ბედი. გუნდის უფროსის, თამაზ ცინარიძის თქმით, ყველაფერი 13 ივლისს გადაწყდება — პროფლიგაში საგარანტიო წერილი ქალაქმა კი გააგზავნა, მაგრამ ჯერ გუნდი არ შეკრებილა.

საგარანტიო წერილით და უვარჯიშობლადაა ქუთაისის „ტორპედოც“. რიონისპირელებმა დღეს იკრიბებიან და გადაწყვეტენ, როდის დაიწყებენ საახალსეზონო მზადებას.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ტრიბუნაზე 1981 წელიც იჯდა

**თბილისის** „დინამომ“ 26 წლის შემდეგ ისევ შეძლო იენის „კარლ ცაისის“ დამარცხება და ამ თამაშს გერმანული პრესაც გამოეხმაურა.

გუშინწინდელ საკონტროლო მატჩს 1981 წლის თასების მფლობელთა თასის ფინალის სამი მონაწილე დასწრებია — იენას ჰელგიდენი, ებეჰარდ ფოგელი და, რა თქმა უნდა, ლუტცი ლინდემანი, რომელიც იენური კლუბის სპორტული დირექტორია. ფინალის მონაწილენი ისევ უკმაყოფილო დარჩნენ — რევანში არ შედგა.

სამაგიეროდ, გაიხარა „დინამოს“ ცენტრალურმა მცველმა ნედ ზელიჩმა — „დორტმუნდში“ თამაშისას ზელიჩმა თასის ფინალი წააგო „კარლ ცაისთან“.

„მაშინ „კარლ ცაისი“ მოგებას იმსახურებდა, დღეს კი მხოლოდ რევანშზე ვფიქრობდი“ — უთქვამს ნამატჩევს ზელიჩს გერმანელებისთვის.



იენელებმა ამ მომენტითაც ვერ ისარგებლეს

გერმანული პრესა დინამოელთა მეკარის დიდიე ოვონოს თამაშს გამოარჩევს და იმასაც წერს, რომ გიორგი ონიანს ძალიან სურდა, თანამემამულეთათვის გაეტანა.

„დინამოს“ წინააღმდეგ იენელთა მწვრთნელ ფრანკ ნოიბარტსაც აქვს ნათამაშები — 1987 წელს „დინამო“ და „ვერდერი“ უეფას თასზე შეხვდნენ, მაშინ ნოიბარტის „ვერდერმა“ იმარჯვა.

— „დინამომ“ დაცვიდან ითამაშა და გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, თუმც უნდა აღვნიშნო, რომ სამიოთხი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, წაგებას არ ვიმსახურებდით“ — თქვა ნოიბარტმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

## ავსტრია

ბუნდესლიგა. I ტური

ლინცერი 1:0 პაშინგი

## შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

გიოტებორგი 0:0 ჰელსინგბორგი

## ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩები

გალვეი 1:2 კორკი

შემროკი 2:0 უოტერფორდი

## უკრაინა

სუპერთასი

დინამო 2:2 (4:23) შახტარი

## აზიის თასი 2007

C ჯგუფი

I ტური

მალაიზია 1:5 ჩინეთი

D ჯგუფი

I ტური

ინდონეზია 2:1 ბაჰრეინი

## ამხანაგური მატჩები

დელემონი 2:1 კონკორდია

აინტრახტი 1:3 დინამო (ბუქ)

კოპენჰაგენი 2:2 შალკე

გალათასარაი 1:0 ანდერლეხტი

შტუტგარტი 2:0 ჰოფენჰაიმი

აარაუ — ბილ-ბინე გადაიდო

ოლდენბურგი 0:6 ვერდერი

იანგ ბოისი 0:0 დორტმუნდი



სარბიელელები ვულოცავთ
საქართველოს ნაკრების
თავდამსხმელს ლაშა ჯაკობიას
და მომღერალ ქრისტინე
იმედაძეს ქალიშვილის
ტასიას დაბადებას!
ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას და ულევ სიხარულს!

# საევროპო საქართველო

## ოლიმპს, დინამოს და ამერს პრობლემები მიემალათ

**გუშინ** უეფაში ევროტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპების მონაწილე გუნდებისგან განაცხადის შეტანის ვადა ამოიწურა.

საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“, მეორეადგილოსან თბილისის „დინამოს“ და თასის მფლობელ „ამერს“ გარკვეული პრობლემები შეექმნათ...

გათავისუფლების ფურცელის დროულად არჩამოსვლის გამო „ოლიმპმა“ ვერ მოასწრო მაროკოელი ფორვარდის, 18 წლის ბუდჰი ბუსვანგას განაცხადში შეყვანა, არადა, ამ ბიჭმა 5 ტესტ-მატჩში 4 გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, რუსთაველთა სიაშია იენის „კარლ ცაისში“ წასასვლელად გამზადებული გიორგი სეთურიძე — არ არის გამორიცხული, იენაში გადასვლამდე სწრაფი მარჯვენაფლანგელი ვარლამ კილასონიას გუნდს დაეხმაროს ყაზახურ „ასტანასთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრებში.

თბილისის „დინამოს“ განაცხადს კი სამი ახალი ლეგიონერი დააკლდა: გაბონელები, დიდიე ოკონო და ჟორჟ აკირემი და ჩეხი რომან დობეში.

„ამერი“ კი რევაზ გოცირიძის გათავისუფლების ფურცელს ელის რუსეთიდან.

მიუხედავად ამისა, კლუბებს მატჩამდეც შეუძლიათ განაცხადში ფეხბურთელთა დამატება და იმედი ვიქონიოთ, რომ ამას მოახერხებენ.

პირველი შეხვედრა რუსთავის „ოლიმპს“ 17 ივლისს, „დინამოსა“ და „ამერს“ კი 19 ივლისს აქვთ.

### ოლიმპი რუსთავი

პრეზიდენტი: ბადრი ქარქაშაძე
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | მირზა მერლანი | 05.10.80 |
| 12 | მიხეილ ალავიძე | 05.11.87 |
| 21 | მიხეილ ხარშილაძე | ??.??.89 |
| | **მცველები** | |
| 2 | დავით ქიქველიშვილი | 23.01.75 |
| 4 | მიხეილ მახვილაძე | 22.07.78 |
| 5 | გიორგი ნავალოვსკი | 28.06.86 |
| 6 | ერნესტ აკუასაგა | 16.10.85 |
| 7 | ლევან სილაგაძე | 04.08.76 |
| 19 | გიორგი სეთურიძე | 01.04.85 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 9 | ლაშა ქებაძე | 27.08.83 |
| 11 | გიორგი კახელიშვილი | 22.05.87 |
| 13 | რევაზ გენაძე | 11.01.85 |
| 14 | გელა ხუბუა | 25.01.84 |
| 15 | ალექსანდრე კოშკაძე | 04.12.81 |
| 17 | ვლადან ჟივკოვიჩი | 06.06.82 |
| 18 | თორნიკე აფციაური | 29.11.79 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 8 | ვლადიმერ დვალიშვილი | 20.04.86 |
| 10 | ჯაბა დვალი | 02.08.85 |
| 16 | რევაზ ჯიქია | 01.09.80 |

**გასხვისებულები**

*ძოძუაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ონიანი (კარლ ცაისი, გერმანია), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი, გოცირიძე (ამერი)*

**ახალწვეულები**

*კილასონია (მთავარი მწვრთნელი), ქასრაშვილი (მწვრთნელი) აკუასაგა (ანჟერი, საფრანგეთი), სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟივკოვიჩი (იონიკოსი, საბერძნეთი), დვალი (დინამო), ჯიქია (მგლები)*

**საკონტროლო მატჩები**

*ლოკომოტივი 2:0, 0:2, 1:1, მერანი 2:0, მგლები 0:0, 2:0*

### დინამო თბილისი

პრეზიდენტი: ბადრი პატარკაციშვილი
მწვრთნელი: დუშან უჰრინი

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | გიორგი ლორია | 27.01.86 |
| 30 | იოსებ გრიშიკაშვილი | 25.12.73 |
| 34 | გიორგი მაკარიძე | 31.03.90 |
| | **მცველები** | |
| 3 | გულვერდ თომაშვილი | 13.10.88 |
| 5 | უჩა ლობჟანიძე | 23.02.87 |
| 7 | გურამ კაშია | 07.04.87 |
| 16 | მილოშ კრშკო | 23.10.79 |
| 21 | ოლეგ გველესიანი | 16.09.80 |
| 22 | შოთა კაშია | 22.10.84 |
| 24 | ნედ ზელიჩი | 07.04.71 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | ლევან ხმალაძე | 04.06.85 |
| 10 | მიხეილ ხუციშვილი | 28.01.79 |
| 11 | გიორგი ფეიქრიშვილი | 28.02.83 |
| 17 | გიორგი მერებაშვილი | 15.08.86 |
| 18 | დავით ოდიკაძე | 14.04.81 |
| 19 | სანდრო კობახიძე | 02.11.87 |
| 23 | ნიკოლოზ ფირცხალავა | 15.05.87 |
| 81 | დავით დილმელაშვილი | 18.01.80 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ილია სპასოევიჩი | 09.11.87 |
| 20 | ბორის გონჩაროვი | 08.07.79 |
| 32 | ზამირ ჯანაშია | 26.02.88 |

**გასხვისებულები**

*იაშვილი (თუნი, შვეიცარია), მამაშვილი (შტურმი, ავსტრია), გრიგალაშვილი, გიგაური, დვალი (ოლიმპი), ნერგაძე, ბაბუნაშვილი, ნოზაძე*

**ახალწვეულები**

*გველესიანი (ვიტ ჯორჯია), ოკონო, აკირემი, დობეში*

**საკონტროლო მატჩები**

*ლოკომოტივი 5:1, ამერი 2:1, მტაინახი (გერმანია) 4:1, სლოტჰაიმი (გერმანია) 6:0, გერა (გერმანია) 7:0, პაიდუკი (ხორვატია) 2:3, როტ ვაისი (გერმანია) 0:1, კარლ ცაისი (გერმანია) 1:0*

### ამერი თბილისი

პრეზიდენტი: ზურაბ ფოცხვერია
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ლადო ნადირაშვილი | 12.02.84 |
| 16 | ზურაბ ქვაჩახია | 25.09.73 |
| | **მცველები** | |
| 4 | გიორგი ელბაქიძე | 26.08.88 |
| 5 | გიორგი დავითნიძე | 18.07.78 |
| 6 | დავით მჭედლიშვილი | 05.04.88 |
| 21 | ვლადიმერ კაკაშვილი | 12.02.84 |
| 24 | ვახტანგ ხვადაგიანი | 04.04.74 |
| 27 | გივი დიდავა | 21.03.76 |
| 30 | მიხეილ კობაური | 11.06.82 |
| 32 | თენგიზ ჩიკვილაძე | 12.08.83 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 10 | გიორგი დეკანოსიძე | 02.01.81 |
| 13 | კობა შალამბერიძე | 15.10.84 |
| 14 | გიზო ჯელაძე | 17.05.75 |
| 15 | გიორგი ვარდოსანიძე | 06.03.88 |
| 17 | დავით ბოლქვაძე | 05.06.80 |
| 19 | მიხეილ მესხი | 07.04.78 |
| 20 | არჩილ ალავიძე | 06.10.85 |
| 22 | გრიგოლ დოლიძე | 25.10.82 |
| 23 | დენის დობროვოლსკი | 10.10.85 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | სულიკო დავითაშვილი | |
| 9 | ბესიკ ჩიმაკაძე | 24.06.88 |
| 11 | რატი ნინამძღვრიშვილი | 22.03.88 |
| 18 | დიმიტრი ტატანაშვილი | 19.10.83 |
| 33 | ბაჩანა ცხადაძე | 23.10.87 |

**გასხვისებული**

*სევასტოპულო (მერანი)*

**ახალწვეულები**

*კობაური, ალავიძე, ცხადაძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), ვარდოსანიძე (დილა), გოცირიძე (ოლიმპი)*

**საკონტროლო მატჩები**

*დინამო 1:2, ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:1, კლადნო (ჩეხეთი) 2:0, 4:1, სპარტა (ჩეხეთი) 0:3, სლავია (ჩეხეთი) 3:4*

# ბელხატუვი გზას იჭრის

## პოლონელებს ლიდერი დაუშავდათ

**უეფას** თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ამერის“ მეტოქე პოლონეთის „გკს ბელხატუვი“ ჩვენებთან მატჩისთვის გერმანიაში, ჩრდილოეთ ვესტფალიის ბად-ლიპსსარინგეში ემზადება და იქვე ამხანაგურებსაც თამაშობს. პირველი ორი შეხვედრა პოლონელებმა ბულგარულ „ლიტექსთან“ გამართეს და ჯერ უგოლო ფრეს დასჯერდნენ, შემდეგ კი 0:1 წააგეს. „ბელხატუვს“ გერმანიაში კიდევ ორი მატჩი აქვს დაგეგმილი — თელ ავივის „მაკაბისთან“ და ბუქარესტის „სტიაუასთან“.

როგორც ჩვენმა პოლონელმა კოლეგამ დარიუშ კუროვსკიმ გუშინ გვაცნობა, „ბელხატუვს“ ძირითადი შემადგენლობის ერთი ფეხბურთელი დააკლდა — გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი დავიდ ნოვაკი სწორედ გერმანულ შეკრებაზე დაშავებულა და მისთვის სამკვირიანი დასვენება გამოუწერიათ. ნოვაკს ქუსლის ტრავმა აქვს.

ამასობაში კი „ბელხატუვის“ სიტყვაძუნწი მწვრთნელი ორესტ ლენჩიკიც ალაპარაკებულა და პოლონელი ჟურნალისტებისთვის ეს უთქვამს: „ვფიქრობ, რომ უეფას თასზე იმ გუნდს ვეთამაშებით, რომელსაც ჩვენი შიში არ ექნება. მეტოქეს არ ვიცნობთ, თუმცა იმედი გვაქვს, მატჩამდე გარკვეულ ინფორმაციას მოვიპოვებთ. ზოგადად კი, ქართველები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, სწრაფები არიან და დრიბლინგს არ ერიდებიან. ბევრი ქართველი დასავლეთ ევროპის ძლიერ გუნდებში თამაშობს. წინ ძნელი მატჩი გვაქვს და ვეცდებით, მეტოქეს გასაქანი არ მივცეთ“.

„ბელხატუვის“ კაპიტანმა ედვარდ კეკოტი კი ჩანს, მწვრთნელზე ოპტიმისტია და მოკლედ და გასაგებად ამბობს: „ჩვენ არ გვაქვს უფლება, უეფას თასზე ჩვენი პირველი მატჩი წავაგოთ. „ბელხატუვი“ ასეთ მეტოქეებს არ უფრთხის“.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: პოლონელი კოლეგის თქმით, მომავალ სეზონში „ბელხატუვის“ ბიუჯეტი 40 მილიონ ზლოტამდე გაიზრდება და ეს კლუბი პოლონეთში ყველაზე მდიდარი იქნება. ცნობისთვის, 40 მილიონი ზლოტი დაახლოებით 10 მილიონი ევროა. ასე ჯიბეგასქელებული დაუხვდება „ბელხატუვი“ „ამერს“.

შეგახსენებთ, პირველი მატჩი ბელხატუვში 19 ივლისს გაიმართება, საპასუხო კი თბილისში 2 აგვისტოს.

**კობა ინასარიძე**



დევიდ ნოვაკი

# ბეგაშვილი თბილისის ფეხბურთსაც მიხედავს



**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ თბილისის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. ფედერაციის პრეზიდენტად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი აირჩიეს.

ასარჩევი და გადასაწყვეტი დელეგატებს არც არაფერი ჰქონდათ — თბილისის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის გენერალურ სამდივნოში საპრეზიდენტო განაცხადი მხოლოდ ბეგაშვილმა შეიტანა. ამდენად მისი არჩევა გასაკვირიც არ იყო.

სულ კი არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 27 სუბიექტს ჰქონდა, მათგან ხმა 24-მა სუბიექტმა დააფიქსირა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გკს ბელხატუვმა სამარქაფო გაასხვისა

**უეფას** თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ამერის“ მეტოქე „გკს ბელხატუვი“ 29 წლის ნახევარმცველმა იაცეკ კურანტიმ დატოვა — პოლონური სააგენტოების ცნობით, კურანტი კარიერას „ოდრაში“ გააგრძელებს.

კურანტი 2002 წლიდან თამაშობდა „გკს ბელხატუვში“. გასულ სეზონში ძირითადში სულ ოთხჯერ ითამაშა, სამაგიეროდ, ცხრაჯერ მოირგო გუნდის მაისურა პოლონეთის თასზე და ერთი გოლიც გაიტანა.

სწორედ მისი გოლით მოუგო „ამერის“ მომავალმა მეტოქემ ნახევარფინალში კრაკოვის „ვისლას“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# შენ აქ ლიდერი უნდა იყო

## გიორგი შაშიაშვილი: შტურმმა შვილივით მიმიღო

დღეს ავსტრიის მაქსბუნდესლიგა იწყება და, შესაბამისად, გიორგი შაშიაშვილის ოფიციალური დებიუტიც იქნება გრაცის „შტურმში“ — შაბათს მისი ახალი გუნდი ვენის „აუსტრიას“ ეთამაშება. „შტურმის“ და ავსტრიის ბუნდელისგური ამბები ერთ დროს დავით მუჯირის გამო გვაინტერესებდა, ამჯერად კი გიორგის ჯერია, რომელიც „არნოლდ შვარცენეგერის“ სტადიონზე დიდი იმედებით მიიღეს. 27 წლის მცველი თბილისის „დინამოს“ კაპიტანი იყო. მაგრამ აქამდე ორ უცხოურ კლუბში უთამაშია, თუმც დასავლეთ ევროპაში ნათლობა ახლა აქვს და ვნახოთ... შაშიაშვილის გუშინ ავსტრიაში შევეხმიანეთ...

— ძალიან მოხარული ვარ გრაცის „შტურმში“ გადმოსვლით. კარგად მიმიღეს, შინაურული ატმოსფეროა და რაც მთავარია, პირველივე დღიდან ვგრძნობ, რომ მაფასებენ. მწვრთნელმა მითხრა კიდეც, გუნდის ლიდერად უნდა ჩამოყალიბდეო.

— თავიდან თითქოს გერმანიაში აპირებდი კარიერის გაგრძელებას და „შტურმში“ როგორ აღმოჩნდი?

— „შტურმს“ გამოცდილი მცველი სჭირდებოდა, ჩავედი და გუნდში უკვე იცოდნენ ჩემზე, კონტრაქტზე ხელის მოწერა საერთოდ არ გაჭიანურებულა. „შტურმის“ მწვრთნელი ფრანკო ფოდა ფეხბურთელობისას „კაიზერსლაუტერნშიც“ თამაშობდა და კლაუს ტოპმიოლერის შეგირდი გახლდათ. ფოდამ მითხრა, ტოპმიოლერს ველაპარაკე და კარგად დაგახასიათაო.

— დაცვაში ყველა ადგილას გითამაშია და „შტურმში“ სად გიპირებენ დაყენებას?

— ორმხრივშიც და საკონტროლო მატჩებშიც ცენტრალური მცველი ვარ. ბოლო ტესტ-მატჩი გუშინწინ გვქონდა პირველი ტაიმი ვითამაშე, ერთ აქაურ სუსტ გუნდს 5:1 მოვუგეთ.

— დავით მუჯირი წლების განმავლობაში „შტურმის“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ალბათ მასაც ელაპარაკე, სანამ გუნდში მიხვიდოდი...

— რა თქმა უნდა, სხვათა შორის, საქართველოზე აქ ბევრი რამ იციან და ყოველთვის დადებითად ლაპარაკობენ. რაც მუჯირის დამსახურებაა. გრაცში მას ხშირად ახსენებენ, ტოპმიოლერის მსგავსად. „შტურმი“ დათოსაც დაეკითხა ჩემზე...

— „შტურმი“ წინა სეზონში მეშვიდე ადგილზე გავიდა ბუნდესლიგაში. ახლა რა მიზნებს ისახავენ?

— შარშანდელზე უკეთესი გუნდი გვეყოლებაო, ყველა ამას ამბობს. რამდენიმე კარგი ფეხბურთელი შეიძინა „შტურმმა“, მათ შორის ერთ-ერთი ნახევარმცველი სამარ მურატოვიჩია — გამოცდილი ფეხბურთელია, თამაშის წაყვანა შეუძლია. ჩემპიონობა ძნელია, რადგან „ზალცბურგს“ მულტიმილიონერი მეპატრონე ჰყავს, თავისი ჯოვანი ტრაპატონით და მაგარი ფეხბურთელებით, ძლიერები არიან „აუსტრია“ და „რაპიდიც“. აი, მეოთხე ადგილზე და, შესაბამისად, უეფას თასზე გასვლა კი შეუძლია „შტურმს“.

— უკვე გასული ამბავია და გერმანიიდან რომელი გუნდები გიწვევდნენ?

— მეორებუნდესლიგელები, თუმცა სულაც არ ვნანობ, რომ „შტურმში“ გადმოვედი, პირიქით, ავსტრიის ბუნდესლიგა უკეთესი უნდა იყოს. მეორე ბუნდესლიგიდან „მაინცი“ ან რომელიმე ამბიციური გუნდი რომ ყოფილიყო, მაშინ შეიძლება დავფიქრებულიყავი, მაგრამ ვინ იცის, გერმანიაში თამაშის შანსი კიდევ მომეცეს: მწვრთნელმა მითხრა, ჩვენთან ისეთი სიტუაცია არ არის, რომელიმე ფეხბურთელს კარიერა გავუფუჭოთ, თუკი გერმანიის ბუნდესლიგიდან წინადადებები გექნება და შენც მოისურვებ წასვლას, არ დაგაკავებთო.

— აქამდე დასავლეთ ევროპის კლუბში არ გითამაშია და ალბათ, სხვანაირად ელოდები დებიუტს...

— ნორმალურ ევროპულ კლუბში მოვხვდი, ყველანაირად კარგი პირობები შემიქმნეს და ცხადია, კმაყოფილი ვარ. ავსტრია სულ სხვა დონეა, ყველაფერი საათივითაა აწყობილი. აი, მაგალითად, ხვალ „აუსტრიასთან“ მატჩამდე ორი საათით ადრე ვიკრიბებით, აქამდე კი სადაც მითამაშია, უმეტესად ისე იყო, თამაშამდე ორდღიანი შეკრება უნდა გაგვევლო...

**ილია ნანობაშვილი**

# ნოიბარტი ახალ ქართველებს ელის

**გიორგი სეთურიძისა** და ილია კანდელაკის იენაში ჩასვლა ძალიან გაჭიანურდა. მათ „კარლ ცაისის“ მწვრთნელი ფრანკ ნოიბარტი გერმანიაში რა ხანია, ელის. სავარაუდოდ, იენაში უნდა ჩავიდეს რევაზ ბარაბაძეც. „სავარაუდოდ“ იმიტომ, რომ ნოიბარტი სეთურიძესა და კანდელაკზე ლიად საუბრობს, თუმც ჟურნალისტებთან საუბარში თავდამსხმელის პრობლემასაც უსვამს ხაზს და შეტევის გაძლიერება სურს.



ფრანკ ნოიბარტი

აი, რა უთხრა ფრანკ ნოიბარტმა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთს:

— ამ კვირაში კიდევ ორ ქართველს ველოდებით. მათი ჩამოსვლის შემდეგ თავდასხმის გარდა ყველა რგოლი დაკომპლექტებული იქნება, ერთი შემტევიც და გუნდი ჩემპიონატისთვის მზად იქნება.

— ქართველების თამაში ნანახი თუ გაქვთ?

— ისინი ნაკრების მოთამაშეები არიან, ამიტომ ხარისხზე საუბარი ზედმეტია. ჩვენ ვთქვით, რა პოზიციაზე გვინდოდა ფეხბურთელები. მენეჯერებმა დაასახელეს მოთამაშეები, მოგვაწოდეს ინფორმაცია და ისინი მოვიწვიეთ. თუ რომელიმე მათგანს ფეხბურთის თამაში არ შეეძლება, უფლება გვაქვს, უკან გავაბრუნოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აკაკი ხუბუტიას ანართოსისი კაუნასს არ ესმის



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების მცველი აკაკი ხუბუტია, შეიძლება, თემურ ქეცბაიას „ანართოსისში“ ვიხილოთ. 21 წლის ხუბუტია ლიტვურ „კაუნასში“ ირიცხება — პირველი წრე განათხოვრებით გაატარა „შილუტეში“ და იჯარის დასრულების შემდეგ ისევ ვლადიმირ რომანოვის კლუბში დაბრუნდა.

„კაუნასელებს ჩემი გაყიდვა არ სურთ და, როგორც გავიგე, არც განათხოვრებას მიპირებენ. თემურ ქეცბაია თავად მელაპარაკა. გარდა ამისა, პოლონური ვარიანტიც მქონდა, მაგრამ „კაუნასი“ ჯერჯერობით არ თანხმდება ჩემს გასხვისებას. თუ დავრჩები, მაშინ სათამაშო პრაქტიკაც უნდა მქონდეს, თანაც, „კაუნასში“ ცენტრალური მცველების პოზიციაზე დიდი კონკურენცია არ არის“ — გვითხრა ხუბუტიამ.

**ილია ნანობაშვილი**



დავით იმედაშვილი (მარცხნივ) „უნირიასთან“ მატჩში

# დავით იმედაშვილმა სატურნი მოსინჯა

## ჯერ თამაში, მერე კონტრაქტი

**რამენსკოეს** „სატურნის“ ოფიციალური ვებგვერდი 22 წლის დავით იმედაშვილის კონტრაქტზე ჯერჯერობით არაფერს წერს, თუმც რუსული სააგენტოები ქართველს უკვე „სატურნის“ ფეხბურთელად თვლიან.

სანამ „სატურნი“ საბოლოო პასუხს იტყვის, მანამდე იმედაშვილი გუნდს ავსტრიულ შეკრებაზე ახლავს და ამხანაგურ მატჩებშიც მონაწილეობს.

გუშინ რამენსკოელები რუმინულ „უნირიას“ უგოლოდ გაეყარნენ და იმედაშვილმაც პირველად მოირგო „სატურნის“ მაისურა — მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა ჩვენებური მოედანზე 62-ე წუთზე ერიომენკოს ნაცვლად შეუშვა და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშა.

შეგახსენებთ, რომ „სატურნის“ კიდევ ერთი ქართველი გოგიტა გოგუა გერმანიაშია, სადაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ორს პლუს ორი უდრის ბრაზილიას

## დუნგას ტაქტიკა და მათემატიკა



AFP

**ბრაზილიის** ნაკრების სათავეში დგომა ძალიან უცნაური და უმადური საქმეა — მიიჩნევს BBC-ს მიმომხილველი ტიმ ვიკერი. ამ ინგლისელი ჟურნალისტის დაკვირვებით, როდესაც ბრაზილია იგებს, ხალხი საგანგებო ნიჭით დაჯილდოვებულ ფეხბურთელებს აქებს, ხოლო როდესაც აგებს, ყველა თითი მწვრთნელისკენ, ანუ დამნაშავისკენ არის მიშვერილი. და აი, ასეთ თანამდებობას მიეზომა კარლოს კაეტანო ბლეიდორნ ვერი ანუ დუნგა, ადამიანი, რომელსაც არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონია, ახალი კარიერა პირდაპირ პენტაკამპეონთა ხელმძღვანელობით დაიწყო.

ბრაზილიურ პრესას დუნგა გაშლილი ხელებით არ მიუღია. ყველამ კარგად იცის, რომ ეს 43 წლის კაცი ხშირად უხეში და მოუთმენელია. მას არასოდეს ჰქონია ქარიზმა და მისი ხელმძღვანელობით ნაკრებიც რაღაცნაირი ქარხნული გახდა, შემოქმედებას მოკლებული. ერთი სიტყვით, ბრაზილიაში დუნგას საწინააღმდეგო დინება იმთავითვე წამოვიდა, „კოპა ამერიკაზე“ კი ახალი ძალით მიაწვა ყველაფერს, რაც გარშემო შეხვდა.

შედეგსა და სარგებლიანობაზე დუნგასეული გაუთავებელი საუბრებით თავგაბეზრებულმა ბრაზილიურმა მედიამ კინაღამ იფეთქა, როდესაც ეკვადორის ნაკრებთან თავისი ნაკრების შემადგენლობაში დაცვაზე ორიენტირებული დამატებითი ნახევარმცველი და „მუხლჩაუხრელი შრომისა და ბრძოლის“ პრინციპი იხილა. მოგეხსენებათ, ის შეხვედრა ბრაზილიელებმა საეჭვო პენალტით 1:0 მოიგეს და ისე გავიდნენ მეოთხედფინალში.

მაგრამ, არ შეიძლება იმის არდანახვა, რომ დუნგამ „კოპა ამერიკას“ მონაწილე ყველა სხვა გუნდისგან განსხვავებით, დიდი ტაქტიკური გარღვევა შეძლო — საუბარია „ორს პლუს ორ“ ნახევარმცველზე. დავაზუსტოთ: ამ ჩემპიონატის დავისა და მტკიცების საგნად, რატომღაც 4-4-2 განლაგებაში ორი შუა ჩამშლელი და ორი გარემარბ-შემოქმედი ნახევარმცველით თამაში იქცა. ასეთ სისტემას მიმართა, მაგალითად, პარაგვაისთან კოლუმბიამ და რაც მოიმკო, შეხსენებაც არ სჭირდება. იგივე სცადა ჩილემ, ოღონდ მხოლოდ 45 წუთით, რის მერეც „ორს პლუს ორზე“ ცივად აიღო ხელი. ამ განლაგების ტრადიციულად მიმდევარმა ეკვადორმა სამიდან სამი წააგო, ვენესუელა კი მეოთხედფინალში ისე გავარდა, რომ მისმა მწვრთნელმა ხელები გაშალა, ეს რა დაგვემართა, კარგ ფორმაში ვერაფრით შევედითო.

და აი, ამ სურათის ფონზე, ჩვენს წინაშეა კარლოს დუნგა, რომლისთვისაც „ორს პლუს ორი“ ის სისტემაა, რომლის შუაშიც ის და მაურო სილვა მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მერედა, შეგახსენებთ, მანამდე ბრაზილიის ნაკრებს 24 წელიწადი ვერ მოეგო ტიტული.

მაგრამ ხსენებული სისტემა თვით ბრაზილიისთვისაც კი გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, თუ შუა ნახევარმცველებს თავიანთ ძირითად საქმესთან ერთად კარგი პასიც არ აქვთ, შეტევის წამოწყება რთულდება და ბევრი მიმომხილველის აზრით, სწორედ ამ კომპონენტის დახვეწა აკლდა ბოლო წლების ბრაზილიას.

ამ სისტემის მეორე ნაკლს დაეჯახა კოლუმბია, რომელმაც ნახა, რომ, თუ ეგრეთწოდებული შემტევი, ანუ გარე-ნახევარმცველები დაცვაშიც ჯარისკაცებივით არ ომობენ, მეტოქე კარისკენ უპრობლემოდ მოდის.

ბრაზილიამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად ელანოსავით „შერეული“ ნახევარმცველი მოიგონა — თან შუა და, თან ფრთის გადამკვეტი, მაგრამ ელანოს ჟოსუეს მაგივრად დაყენება დუნგას დაცვაზე გადასვლად ჩამოართვეს, თუმცა სინამდვილეში ეს გახლდათ საკმაოდ კარგად მოქმედი ნახევარდაცვის ნაირსახეობა.

ერთი სიტყვით, „ორს პლუს ორმა“ დუნგას გასაქანი მისცა. მინეირო და ჟოსუე, მართალია, დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველები არიან, ორივე მძლავრი ძრავით არის დაჯილდოვებული, ხოლო წვერში ჟულიო ბაპტისტა დგას, ფეხბურთელი, რომელსაც კარიერაში ყველა პოზიცია აქვს მოვლილი და როდესაც ბურთი მეტოქეს აქვს, დაცვაში საუცხოოდ მუშაობს.

თუმცა გამოცდა, ბუნებრივია, წინ არის: ურუგვაი ჩილეზე ძლიერია და დუნგას „ორს პლუს ორს“, სავარაუდოდ, კარგ შემოწმებას მოუწყობს (ამ დილით მოუწყობდა).

მაგრამ დუნგა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კერკეტი კაკალია და ზურგს მარიო ზაგალოს ათი წლის წინანდელი გამოცდილება უმაგრებს.

„მოგწონვართ თუ არა, თქვენ ჩემი ატანა მოგიწევთ“ — შეუძახა მაშინ ზაგალომ ჟურნალისტებს.

დუნგეც ასეა... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ყველაფერი მართლა მისი გეგმის მიხედვით მიდის.

**პაპუნა ძედია**

# მილიტომ კალაძის თემა უკვე დახურა

## ბარსელონა 18 მილიონს იხდის



**კატალონიური** „სპორტი“ აცხადებს, რომ გაბრიელ მილიტო „კოპა ამერიკას“ დასრულების შემდეგ „ბარსელონას“ ფეხბურთელი გახდება.

„მოლაპარაკებები „ბარსას“ და „სარაგოსას“ შორის წარმატებით განახლდა, გაბი მილიტოსაც „კამპ ნოუზე“ გადასვლა უნდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი სიურპრიზი არ მოხდა, არგენტინელი გაისად „ბარსელონაში“ ითამაშებს“ — წერს „სპორტი“.

კლუბთა შორის გარიგებას მილიტოს სატრანსფერო ფასი უშლის ხელს. „სარაგოსა“ უკვე 20 მილიონ ევროს ითხოვს, „ბარსელონა“ კი 15 მილიონს იმეტებს, თუმცა კატალონიელები თანახმანი არიან, ამ თანხას კიდევ 3 მილიონი დაუმატონ იმ შემთხვევაში, თუ ფრანკ რაიკარდის გუნდი მილიტოსთან ერთად გაისად ან ლა ლიგის ჩემპიონობას, ან ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

ამბობენ, რომ 18 მილიონზე „სარაგოსაც“ არ იტყვის უარს, ოღონდ კლუბი ხუან ლაპორტას ბანაკის მიერ შემოთავაზებულ დამატებით 3 მილიონ ევროს ითხოვს იმ შემთხვევაში, თუ „ბარსა“ 2007-08 წლების პრიმერადივიზიონში საჩემპიონთალიგო საგზურს მოიპოვებს.

როგორც ხედავთ, დაინტერესებულ მხარეთა შორის უთანხმოება უკვე უმნიშვნელოა. „სპორტის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით კი, ტრანსფერი თითქმის გაჩარხულია და დღე-დღეზე მილიტოს „ბარსელონასთან“ შეთანხმებას ოფიციალურად გამოაცხადებენ.

„მარშალ“ მილიტოს შეძენით ტურინის „იუვენტუსიც“ იყო დაინტერესებული, თუმცა იტალიელებმა სხვა მცველთან, პორტუგალიელ ჟორჟე ანდრადესთან მიაღწიეს შეთანხმებას და „სარაგოსას“ უკანასკნელის ერთადერთ მსურველად მხოლოდ ხუან ლაპორტას „ბარსელონაა“ დარჩენილი.

გაბი მილიტოს უთქვამს, საჩქარო არაფერია და სანამ არგენტინის ნაკრები „კოპა ამერიკაზე“ გამოდის, სატრანსფერო პერიპეტიებს ნუ გავამძაფრებთო. თავად ფეხბურთელი, მისი ოჯახი და მისი მეგობრები კი დარწმუნებულები არიან, რომ „მარშალი“ სწორედ „ბარსელონაში“ ითამაშებს.

„ბარსელონაში“ გადასვლის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატი კახა კალაძეც გახლდათ. „ბარსელონა“ მილიტოს ტრანსფერის ჩაშლის შემთხვევაში „მილანიდან“ ქართველის წაყვანას აპირებდა, თუმცა რახან „მარშალის გეგმა“ წარმატებით გაგრძელდა...

**ლადო ხომერიკი**

## სავიოლაც თეთრია

მადრიდის „რეალს" მესამე ახალწვეული ჰყავს — გერმანელი კრისტოფ მეცელდერისა და პორტუგალიელი პეპეს შემდეგ „სამეფო კლუბის" მაისურას არგენტინელი ხავიერ სავიოლაც მოირგებს. თუ მეცელდერი და პეპე მცველები არიან, სავიოლა თავდამსხმელია და „რეალს" მოსისხლე „ბარსელონადან" შეუერთდა.

„შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ხავიერ სავიოლა უკვე „რეალის" ფეხბურთელია, მას მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერალა აკლია" — განუცხადა გუშინ „მარკას" მადრიდელთა ახალმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა.

„მარკას" ცნობითვე, „რეალი" ცოტა ხანში კიდევ ერთ ფეხბურთელს შეიძენს — არსენალელ ფრანსესკ ფაბრეგასს.

## უიგანის მეხუთე

პრემიერლიგის „უიგანმა" უელსელი ნახევარმცველი ჯეისონ კუმასი იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მის სანაცვლოდ კი „ვესტ ბრომვიჩს" 5 მილიონ 300 ათასი გირვანქა ჩაუთვალეს.

ვესტელები ჩემპიონლიგაში თამაშობენ და პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში მაისში „დერბისთან" დამარცხდნენ.

ჯეისონ კუმასმა „ვესტ ბრომვიჩში" ხუთი სეზონი გაატარა და 144 მატჩში 23 გოლი გატანა.

უელსელამდე „უიგანმა" შეიძინა ანტუან სიბიერსკი, კარლო ნეში, ტიტუს ბრამბლი და მარიო მელხიოტი.

შევახსენებთ, რომ „უიგანს" კრის ჰატჩინგსი თავკაცობს, რომელმაც გასული სეზონის ბოლოს პოლ ჯუელი შეცვალა.

## სანუ თოფით

„ოსერის" მცველი ბაკარი სანუ ლონდონის „არსენალში" გადადის. „მეთოფეები" 24 წლის ფრანგში 7 მილიონ 500 ათას გირვანქას იხდიან.

ფეხბურთელი გუშინ ჩავიდა ლონდონში სამედიცინო შემოწმებაზე.

სანუ მარჯვენა მცველია და რაიმონ დომენეკს ნაკრებში ვილი სანიოლის შემცვლელად მიაჩნია. იგი ივნისში გამოიძახეს უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩებისთვის, მაგრამ დომენეკმა მისი დებიუტი გადადო.

## ია მანჩესტერში

„ფიორენტინას" წარმომადგენლები მანჩესტერში ჩავიდნენ და ალექს ფერგიუსონის გუნდს ჯუზეპე როსიზე ევაჭრებიან.

„ბაიერნში" ლუკა ტონის გადასვლის შემდეგ „იები" ფორვარდს ეძებენ.

როსი „მანჩესტერს" ეკუთვნის და გასული სეზონის მეორე ნახევარი „პარმაში" გაატარა. მისმა გოლებმა კი გუნდი სერია B-ში ჩაქვეითებისგან იხსნა.

„ფიორენტინა" 8 მილიონს იხდის ფორვარდში, ხოლო „მანჩესტერი" ათს ითხოვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

გუშინწინ ბერნდ შუსტერი „რეალის" მწვრთნელად წარადგინეს. გერმანელმა მედიასთან თავის ახალ პროექტზე, სათამაშო იდეაზე და კაკას სავარაუდო ტრანსფერზე ილაპარაკა. „ბერნარდო" ამბიციურია და აცხადებს, რომ „სამეფო გუნდში" მხოლოდ გამარჯვებებისთვის მივიდა...



AFP

# მე ამისგან გავაკეთებ...

**— თქვენი ფეხბურთელობის დროინდელ პერიოდში თუ წარმოიდგენდით, რომ მადრიდის „რეალის" მწვრთნელი იქნებოდით?**

— მართალი გითხრათ, არა. როცა 28-30 წლის ვიყავი, მარტო თამაშზე ვფიქრობდი. სულ არ წარმომედგინა თავი მწვრთნელად და მით უმეტეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მადრიდის „რეალს" ჩამაბარებდნენ. ერთადერთი, რაც მინდოდა, ის იყო, რომ „ბერნაბეუზე" კიდევ რამდენიმე წლით მეთამაშა.

**— „ხეტაფეს" პრეზიდენტ ანხელ ტორესს როდის ესაუბრეთ და ყოფილ კლუბთან კონტრაქტის გამოსასყიდი თანხის გადახდა როდის გადაწყვიტეთ?**

— რამდენიმე დღის წინ შევხვდი ანხელ ტორესს და ფინანსური საკითხიც მოვაგვარეთ. ყველაფერი უპრობლემოდ გადაწყდა, რადგანაც მოვიდა დრო, როცა შუსტერმა და „ხეტაფემ" თავიანთი გზები უნდა მონახონ. „რეალში" ჩემს ახალ ეტაპს ვიწყებ და „ხეტაფეს" თემა უკვე დახურულია.

**— ეს 480 ათასი ევრო თქვენს ყოფილ კლუბს საკუთარი ჯიბიდან გადაუხადეთ?**

— დიახ. როგორც ორიოდე დღის წინ მედიამ გამოაცხადა, კონტრაქტის ანულირების თანხა მე გადავიხადე. ისე, რომ იცოდეთ, უამრავმა ხალხმა დამირეკა დახმარებისთვის, ამდენი მეგობარი არასოდეს დამკავშირებია... მთავარია, რომ ყველაფერი უპრობლემოდ გადავწყვიტეთ და ამ თემაზე ლაპარაკი უკვე აღარ მსურს.

**— როცა „რეალთან" ტრანსფერზე მოლაპარაკებას აწარმოებდით, მიქაელ ლაუდრუპი „ხეტაფესთან" კონტრაქტისთვის ემზადებოდა. ამან დისკომფორტი არ შეგიქმნათ?**

— შეიძლებოდა, ლაუდრუპის ამბავი უფრო ადვილად გადაწყვეტილიყო. მადრიდის „რეალი" კი არასდროს არ დარჩენილა უმწვრთნელოდ და სიტუაციის დასარეგულირებლად ბევრს ვმუშაობდით. როდესაც არსებობს პრობლემა, უნდა მოიძებნოს გამოსავალი, რომლითაც ყველა მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩება.

**— კონტრაქტის ანულირებისთვის თანხის პირადად თქვენი ჯიბიდან გადახდას სამართლიანად თვლით?**

— არ ვიცი. გადავიხადე და მორჩა და გათავდა. ეს საქმე აღარ მაინტერესებს.

**— თქვენ უკვე რამდენიმე წელია, „ბარსელონას" ფანკლუბის წევრი ხართ. მომავალშიც იქნებით?**

— ეს რამდენიმე ხნის წინ მოხდა და დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. იცით, რომ „ბარსაში" წლების განმავლობაში ვთამაშობდი და იქ ყოფნას ჩემი ცხოვრების ბევრი კარგი ეპიზოდი უკავშირდება. თუმცა ახლა მხოლოდ „რეალზე" ვფიქრობ. ყოველთვის იმ გუნდების ფანკლუბთა წევრი ვიყავი, სადაც მითამაშია.

**— ახალი სპორტული პროექტის შესახებ ვისაუბროთ. კაკას მოყვანაზე ოცნებობთ?**

— ბრაზილიელის მოსვლა მართლაც ჩვენი დიდი ოცნებაა, თუმცა არ ვიცი, ეს ოცნება რეალობად იქცევა თუ არა. კაკას ყიდვის სურვილი ძალიან დიდია, მაგრამ საქმე რომ ურთულესია, ამასაც ვერ უარვყოფ. უკვე გარკვეული დროა, გუნდის ჩამოყალიბებაზე ვმუშაობთ. „რეალში" ზოგი ფეხბურთელი გააგრძელებს კარიერას, ზოგი კი არა.

**— ფრანსესკ ფაბრეგასის თამაში მოგწონთ?**

— ძალიან. თანამედროვე ფეხბურთისთვის ფრიად მნიშვნელოვან პოზიციაზე თამაშობს, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ფეხბურთელობისას მე ვიყავი. სესკმა არსენ ვენგერისგან ბევრი ისწავლა. იგი ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელთაც გუნდების საკუთარი ძალებით კრიზისიდან გამოყვანა შეუძლიათ.

**— რაულზე რას ფიქრობთ?**

— მგონი, არავის სჭირდება იმის შეხსენება, რაც რაულმა „რეალისთვის" გააკეთა, ეს ისედაც ყველამ კარგად იცის. რაულმა ყველა რეკორდი დაამხო, იგი უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, რომელსაც გუნდის გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავს. გონსალეს ბლანკო სიმბოლოა და ყოველთვის ასეთად დარჩება. რაული ჩემი სქემისა და საფეხბურთო იდეების ფუნდამენტალური ნაწილი იქნება.

**— რას იტყვით იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც ფაბიო კაპელომ დაგიტოვათ?**

— იტალიელმა უფრო მეტის მოგება შეძლო, ვიდრე ლა ლიგის ჩემპიონობაა. იცით, რომ რამდენიმე უტიტულო წლის შემდეგ გუნდი და ინჩასები ძალიან ნერვიულობდნენ, რაც 2007 წლის ოქროს მედლების მოპოვებით უკვალოდ გაქრა. ჯილდომ დაამშვიდა კლუბი, ფეხბურთელები და მეც, ახალი მწვრთნელი, რომელიც ახალ სეზონს დიდი იმედებით შეხვდება. გაცილებით ადვილია სეზონის დაწყება, როცა მხარს საჩემპიონო მანტია გიმშვენებს...

**— მადრიდში ყოველთვის ითხოვდნენ, რომ გუნდს ჩემპიონობის მოგებასთან ერთად სანახაობრივი ფეხბურთიც ეთამაშა...**

— ვთვლი, რომ ეს დიდი მოტივაციაა. ვიცი, სამუშაოდ სად მოვედი. ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფია არის, იყო პროფესიონალი, არ შეუშინდე გამოწვევებს და იყო მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ასევე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც შენს გვერდით მუშაობენ. ნებისმიერ კლუბში, სადაც ვიყავი, ფეხბურთელებისგან ყოველთვის მაქსიმუმს ვითხოვდი. განსხვავება ის არის, რომ ჩემს ადრინდელ გუნდებში ბიჭებისგან ტიტულებს ვერ მოვითხოვდი, თუმცა ახლა ამის შესაძლებლობა მადრიდის „რეალში" მომეცემა. თან „სანტიაგო ბერნაბეუზე" მარტო ჯილდოები კი არ უნდა მოვიგოთ, ლამაზადაც უნდა ვითამაშოთ, ინჩადას რომ მოეწონოს. ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი ზუსტად ასე იქნება.

**— ამ ლამაზი თამაშის განვითარებას როგორ აპირებთ?**

— ეს ადვილი თემაა. მადრიდულ შემადგენლობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, ამიტომაც ფეხბურთელთაგან მატჩის ლამაზად მოგებაც შემიძლია, მოვითხოვო. სანერვიულო არაფერი მაქვს, რადგანაც ამ შემადგენლობით ხალხს იმ ფეხბურთს ვაჩვენებ, რომელიც მიყვარს. ვინც მე, როგორც ფეხბურთელს და მწვრთნელს მიცნობდა, ადვილად წარმოიდგენს, „რეალთან" ერთად რა საქმეების გაკეთებაც შემიძლია. რახან ჩემი შეგირდები უმაღლესი დონის ფეხბურთელები არიან, მიმზიდველი ფეხბურთი რატომ არ უნდა ვითამაშოთ?! მეკარის გარდა, დანარჩენებმა თავი სანახაობას, ლაღ ბურთაობას უნდა მიუძღვნან. მინდა, ფეხბურთელებმა ხალხზე იფიქრონ. ყველაზე მეტად მიყვარს, როდესაც გულშემატკივრები ბედნიერნი არიან და ჯილდოებით ხარობენ.

**— თქვენს საფეხბურთო იდეალებს უფრო კონკრეტულად ვერ ჩამოგვიყალიბებთ?**

— ეს უფრო მეტია, ვიდრე ტაქტიკა და თეორია. თითქმის ყველა გუნდი ერთნაირად თამაშობს, მაგრამ განვითარებისთვის ახალი გზებიც უნდა ვეძებოთ. ჩემი აზრით, ფეხბურთელთა თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი სისტემა. ყოველთვის ვარჩევდი, რომ ერთი საყრდენი ნახევარმცველი იერიშებში ერთვებოდეს, მეორე კი უფრო დაცვაზე იყოს ორიენტირებული.

**— ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ „რეალმა" თავისი ღირსება და მებრძოლი სული აღიდგინა. ეს მართლაც ასეა?**

— ფაბიო კაპელოს გასულ სეზონში ბევრი სირთულის გადალახვა მოუხდა. ტიტულის მოსაპოვებლად მას, სულ მცირე, ერთი წელიწადი მაინც სჭირდებოდა, მაგრამ იტალიელმა ეს ჯილდო მოიგო და სეზონის ბოლოს „რეალის" მაისურას დაკარგული ღირსება აღუდგინა. მეც კაპელოს წარმატებას გამოვიყენებ, რათა გუნდმა განვითარება ამ ხაზით გააგრძელოს. ინდივიდუალური დონის გარდა, გუნდს ერთიანობა სჭირდება, რათა ერთ მუშტად შეკრული მტკიცე ჯგუფი შეიქმნას. ეს საკმაოდ ძნელი გამოწვევაა, მაგრამ მე საკუთარი ძალებისა და ჩემი გუნდის მჯერა.

**— „რეალის" მთავარმა მეტოქემ „ბარსელონამ" თავისი ვარსკვლავები შეინარჩუნა და გუნდი ახალი ფეხბურთელებითაც გააძლიერა. ეს არ გაშფოთებთ?**

— არა. მე მხოლოდ ჩემს გუნდზე ვზრუნავ, ხოლო მეტოქის ახალ პროექტებზე ნაკლებად ვფიქრობ. „რეალის" ყველა ფეხბურთელი საკუთარ შესაძლებლობებშია დარწმუნებული, საერთო ჯამში კი სწორი გზა გვაქვს არჩეული.

**— ახალი ტრანსფერების საქმე როგორ იქნება?**

— ამაზე ჯერ ვერაფერს გიპასუხებთ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ბერნდ შუსტერისთვის „რეალის" მწვრთნელობა ჯერ ნაადრევია?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, „რეალში" მწვრთნელობის შანსი დაგვიანებით მოვიდა. ათი წელიწადია, მწვრთნელი ვარ, ეს ზოგისთვის ბევრია, ზოგისთვის კი ცოტა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა გუნდებსაც ვმეთაურობდი, „რეალში" მოსვლა უდიდესი ნაბიჯია ჩემს კარიერაში. ძალიან კმაყოფილი ვარ, სიტუაცია შესანიშნავია. ისე, მაინც ვფიქრობ, რომ „სამეფო გუნდის" მწვრთნელი უფრო ადრე უნდა გავმხდარიყავი.

**— გაისად რის მოგებას გეგმავთ, პრიმერადივიზიონის თუ ჩემპიონთა ლიგის?**

— ვამჯობინებ, ორივე ტიტული მადრიდის „რეალმა" მოიგოს.

**— პრეზიდენტი რამონ კალდერონი პირადად როდის გაიცანით?**

— კალდერონი შარშან გავიცანი. წლეულს უფრო ხშირად ვუკონტაქტებოდით ერთმანეთს, რამაც „რეალში" ჩემს გადასვლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. როცა მწვრთნელობა შემომთავაზეს, ყოყმანი არ დამიწყია. ყოველთვის ვამბობდი, რომ როდესაც „რეალის" დარი გუნდის თავკაცობის შანსი მოგეცემა, ბევრი ფიქრი არ არის საჭირო. იმ შანსით უნდა ისარგებლო, რაც ღმერთმა გიბოძა. მე „ბერნაბეუზე" დიდ საქმეებს გავაკეთებ, თუმცა ვიცი, რომ ეს უდიდეს შრომასა და პასუხისმგებლობას უკავშირდება.


გიუნტერ ნეტცერი


პაულ ბრაიტნერი


ბერნდ შუსტერი

„სამეფო გუნდმა“ ახალი გერმანელი ფეხბურთელი, კრისტოფ მეცელდერი შეიძინა. აქამდე მადრიდის „რეალში“ 5 გერმანელს უთამაშია. ერთ-ერთი მათგანი, ბერნდ შუსტერი უკვე სამეფო თეთრების დამრიგებელია. მოდით, გავიხსენოთ მადრიდული გრანდის გერმანელები...


ბოდო ილგნერი


ული შტილიკე

# გერმანელი რეალელები

## გიუნტერ ნეტცერი
### სანტიაგო ბერნაბეუს ფავორიტი

„რეალის“ ლეგენდარული პრეზიდენტი დონ სანტიაგო ბერნაბეუ გიუნტერ ნეტცერის დახვეწილი ტექნიკითა და მოედნის შესანიშნავი ხედვით, 1972 წლის ევროპის ჩემპიონატისას მოიხიბლა. ერთი სეზონის შემდეგ კი ქერა ნახევარმცველი „გლადბახიდან“ უკვე „სამეფო გუნდში“ გადაბარგდა.

მოგვიანებით, „რეალს“ „გლადბახიდან“ სიმონსენმა, იენსენმა და ული შტილიკემაც მიაშურეს. გიუნტერ ნეტცერმა კი ესპანეთის სატახტოში 1973-76 წლებში ითამაშა, „რეალის“ შემადგენლობაში 100 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი შეაგდო.

სხვათა შორის, ნეტცერი გერმანელთაგან ერთადერთია, თავის პირველივე სეზონში რომ არაფერი მოუგია. მეორეში კი ჩემპიონობა მოიპოვა.

ნეტცერი პრიმერადივიზიონის ჩემპიონი 1975-76 წლების სეზონშიც გახდა.

## პაულ ბრაიტნერი
### ყოვლისშემძლე ზეკაცი

სანტიაგო ბერნაბეუმ „ბარსელონაში“ იოჰან კრუიფის ტრანსფერს „რეალში“ პაულ ბრაიტნერის ჩაყვანით გასცა პასუხი.

პრეზიდენტმა თავის ფეხბურთელებს 1974 წლის მუნდიალის შემდეგ ჰკითხა: „ბიჭებო, რომელი უცხოელის თამაში მოგეწონათ მსოფლიოს ჩემპიონატზე? მითხარით და მას ახლავე ჩამოგიყვანთ მადრიდის „რეალში“.

კასტილიელთა უმრავლესობას კრუიფის მხარდამხარ სურდა თამაში, თუმცა, რადგან „მფრინავი ჰოლანდიელისა“ და „ბარსელონას“ საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო, ბიჭებმა გერმანული მუნდიალის ოქროსმედალოსანი პაულ ბრაიტნერი დაასახელეს...

გერმანელი ნახევარმცველი „სამეფო გუნდში“ „ბაიერნიდან“ მივიდა და მადრიდში 1977 წლამდე ითამაშა. ბრაიტნერმა თეთრი მაისურით 100 მატჩი ჩაატარა, 10 გოლი გაიტანა და ორი ჯილდო მოიგო — 1975 და 1976 წლების ლა ლიგის ჩემპიონობა.

მძლავრი ფიზიკური მონაცემებისა და საზარელი დარტყმის მქონე პაულ ბრაიტნერს ესპანეთის სატახტოში მეტსახელად „ზეკაცი“ ერქვა...

## ული შტილიკე
### რეალის გერმანელთაგან ყველაზე მეტი ჯილდოს მქონე

ამ კაცმა გერმანელთაგან ყველაზე დიდხანს ითამაშა კასტილიურ გრანდში. ული შტილიკემ „რეალის“ ფორმა 1977 წელს მოირგო და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1985-მდე იბურთავა.

ულის მოსვლის წელს „სამეფო გუნდი“ საშინელ დღეში იყო. „რეალმა“ 1976-77-ის სეზონი სატურნირო ცხრილში მეცხრე ადგილზე დაამთავრა, ჩემპიონთა თასს მერვედფინალიდან გამოეთიშა, ხოლო ესპანეთის თასს მეოთხედფინალიდან. დონ სანტიაგო ბერნაბეუმ გადაწყვიტა, კრიზისში მყოფი გუნდი გამოეცოცხლებინა და შტილიკე, ვოლფი და ხუანიტო შეიძინა.

კასტილიელები გამოფხიზლდნენ და მომდევნო, 1977-78 წლების ლა ლიგაც მოიგეს. შტილიკემ კი საერთო ჯამში „რეალის“ შემადგენლობაში 338 მატჩი ჩაატარა და 51 გოლი გაიტანა. მოგებული აქვს 7 ტიტული: სამჯერ ზედიზედ ლა ლიგა (1978-80) ორი კოპა დელ რეი (1980, 1982), უეფას თასი (1985) და ლიგის თასი (1985).

კარიერის დასასრულს კი ული შტილიკე თანაგუნდელებმა ხელში ატატებული გაიყვანეს მოედნიდან...

## ბერნდ შუსტერი
### ფეხბურთელი, რომელიც მადრიდს მწვრთნელად უბრუნდება

„რეალის“ პრეზიდენტმა მენდოსამ მშვენივრად ისარგებლა „ბარსას“ უფროსობასა და ბერნდ შუსტერს შორის მაშინ არსებული უთანხმოებით და „ბერნანდომაც“ კატალონიურ გრანდში რვაწლიანი ბურთაობის შემდეგ თავი „ბარსელონას“ მოსისხლე ბანაკში ამოჰყო. გერმანელმა 1988-90 წლებში ითამაშა „რეალში“ და სამეფო თეთრებთან ერთად ხუთი ტიტული მოიგო: ორჯერ პრიმერას ჩემპიონობა, ერთი კოპა დელ რეი და ორიც ქვეყნის სუპერთასი. შუსტერმა თავის პირველივე მადრიდულ სეზონში ჩემპიონობა, თასი და სუპერთასი მოინადირა. 88 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი შეაგდო.

„ბერნარდო“ გახლდათ ნახევარმცველი უზუსტესი პასით და მოედნის ცენტრში თამაშის ორგანიზების იშვიათი ნიჭით. მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე საფეხბურთო თვისება საჯარიმო დარტყმების ფანტასტიკური შესრულება იყო. შემდეგ შუსტერი „ატლეტიკოში“ გადავიდა, ხოლო „რეალის“ ფეხბურთელობიდან 17 წლის მერე, იგი უკვე მწვრთნელად დაუბრუნდა „სანტიაგო ბერნაბეუს“.

## ბოდო ილგნერი
### ფაბიო კაპელოს ფავორიტი მეკარე

იტალიელმა მწვრთნელმა თავისი მაინც გაიტანა — მას არც მეტისმეტად დაბალი ბუიო მოსწონდა და არც მაშინ მეტისმეტად გამოუცდელი სანტიაგო კანისარესი. კაპელომ 1996 წელს „კიოლნიდან“ იყიდა ბოდო ილგნერი, ბოლო გერმანელი, ვიდრე „რეალში“ მეცელდერი მივიდოდა.

ბოდომ პირველ სეზონში პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა, ხოლო მეორეში ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.

ილგნერმა ჩემპიონთა თასი 2000 წელსაც მოიპოვა, თუმცა როცა კონტრაქტის განახლების დრო დადგა, პრობლემებმა იჩინა თავი. იგი 2001 წლამდე დარჩა „რეალში“, კიდევ ერთი ლა ლიგა მოინადირა, მაგრამ ახალგაზრდა კონკურენტის, იკერ კასილიასის გამოჩენისა და ტრავმების გამო, ბოლო სეზონებში თითქმის აღარ უთამაშია.

ისე კი, „რეალის“ შემადგენლობაში სულ 119 მატჩი გამართა.

**ლადო ხომერიკი**

## პეპე: 28-მილიონიანი დაცვა

**მადრიდის** „რეალმა“ გუშინ დაადასტურა, რომ პორტუგალიელი ცენტრალური მცველი პეპე იყიდა და ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებს. კეპლერ ლავერან ლიმა ფერეირა ბრაზილიაში დაიბადა, თუმცა შარშან პორტუგალიის მოქალაქე გახდა. 2001-2004 წლებში „მარიტიმუში“ თამაშობდა, შემდეგ კი „პორტუში“ გადავიდა.

„ო ჟოგოს“ ცნობით, „რეალმა“ 28 მილიონი ევრო გადაიხადა 24 წლის ფეხბურთელში, რომელიც „ბარსასაც“ სურდა. ეს უკვე მეორე ახალი მცველია „რეალისა“. მადრიდელებმა პეპემდე გერმანელი კრისტოფ მეცელდერი „დორტმუნდიდან“ შეიძინეს.

„პორტუს“ 2005-2006-ის სეზონში კო ადრიანსე წვრთნიდა, ჩემპიონატის დაწყებამდე მან განაცხადა, რომ მისი საიდუმლო იარაღი პეპე იქნებოდა, რომელიც მანამდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რადგან ძირითადში პედრუ ემანუელი, ჟორჟე კოშტა და რიკარდუ კოშტა თამაშობდნენ. ადრიანსემ ახალგაზრდებს მისცა შანსი და არც შემცდარა. პეპე მატჩიდან მატჩამდე უმატებდა და პორტუგალიური მედიის მთავარი სალაპარაკოც გახდა.

## ლილომ კლუბი დამალა

**იტალიური** მედიის ცნობით, „მანჩესტერ სიტი“, რომელსაც სვენ გორან ერიკსონი წვრთნის, „რეჯინადან“ როლანდო ბიანკის ყიდვას აპირებს. 24 წლის ფორვარდი გასულ სეზონში ბომბარდირებში მეოთხე იყო. სიტელები მის სანაცვლოდ 13 მილიონ ევროს ამზადებენ. „რეჯინას“ პრეზიდენტმა ლილო ფოტიმ დაადასტურა, რომ უახლოეს დღეებში ბიანკი ერთ-ერთ უცხოურ კლუბში გადავა, მაგრამ არ გაამხილა, რომელში. მედიის ვარაუდით კი, ეს კლუბი „მანჩესტერ სიტია“.

## ოჯახური მიზეზების გამო

**ფაბრიციო მიკოლი** იმედოვნებს, რომ „პალერმოში“ მისი საქმეები კარგად აეწყობა. 28 წლის ფორვარდმა სიცილიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი „იუვენტუსს“ ეკუთვნოდა და წინა ორი სეზონი განათხოვრებული იყო „ბენფიკაში“, ახლა კი ისევ იტალიაში დაბრუნდა.

„პალერმოში“ გადასვლაზე უარს ვერ ვიტყოდი — თქვა ფეხბურთელმა — ჩემს ოჯახს პორტუგალიაში დარჩენა აღარ სურდა. ეს კლუბი აქაური სასიამოვნო გარემოსა და ამბიციების გამო ვარჩიე. 110 პროცენტით დავიხარჯები, რათა ქომაგების კეთილგანწყობა დავიმსახურო. ვიმედოვნებ, რომ რობერტო დონადონის ყურადღებასაც მოვიპოვებ და ნაკრებში დამაბრუნებენ“.

## რომაელი ჩირო

**„რომამ“** ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა აჰმედ ბარუსოს და განელი ნახევარმცველის კონტრაქტი ნაწილობრივ გამოისყიდა „რიმინისგან“. სამი წლის განმავლობაში რომაელები 2 მილიონ 400 ათას გირვანქას გადაიხდიან, ხოლო ფეხბურთელი ხუთ სეზონში 3 მილიონ 300 ათასს მიიღებს.

ბარუსო, მეტსახელად „ჩირო“, შარშან ოქტომბერში დაშავდა და ახლა ფორმაში შედის. მისი კარგი თამაშის წყალობით „მანფრედონია“ სამოყვარულო ლიგიდან სერია C1-ში ავიდა და ამის მერე იყიდა „რიმინიმ“.

## მუსიკა ნილმარისთვის

**გერმანული** „შპორტალის“ ცნობით, „ვერდერი“ კარლოს ალბერტოს შეძენის შემდეგ მეორე ბრაზილიელის გადაბირებასაც აპირებს. ეს გახლავთ „კორინთიანსის“ 22 წლის ფორვარდი ნილმარი, რომელსაც 2004-05-ში „ლიონში“ უთამაშია. მაშინ ფეხბურთელმა ვერ გაამართლა ფრანგთა იმედი და 32 მატჩში მხოლოდ 2 ბურთი გაიტანა. სამაგიეროდ, ახლა „კორინთიანსში“, მატჩში საშუალოდ 1,8 გააქვს. „ვერდერს“ მის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს სთხოვენ. იგი „მუსიკოსებს“ მიროსლავ კლოზეს შემცვლელად უნდათ.

## სამირი ოთხს გამოტოვებს

**„მარსელისა“** და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა სამირ ნასრიმ კოჭის ტრავმა მიიღო და სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდად აღიარებული ფეხბურთელი შაბათს „ბორდოსთან“ ამხანაგურ მატჩში დაშავდა.

20 წლის ნასრის ოპერაციის გაუკეთებენ და ხუთი კვირა დასვენება მოუწევს.

ჩემპიონატი 4 აგვისტოს იწყება და „მარსელი“ სტუმრად „სტრასბურს“ ხვდება.

## ტომასონმა ექვსიანი შემოხაზა

**დანიის** ეროვნული ნაკრების კაპიტანი იონ დალ ტომასონი გუშინ ესპანურმა „ვილიარეალმა“ ბუნდესლიგის ჩემპიონ „შტუტგარტისგან“ საბოლოოდ გამოისყიდა. გეხსომებათ, „ფეიენოორდისა“ და „მილანის“ ყოფილმა თავდამსხმელმა გასული სეზონი მადრიდულ კლუბში იჯარის წესით გაატარა და მწვრთნელ მანუელ პელეგრინის თავი ისე მოაწონა, რომ ესპანელებმა მისი საბოლოო დასაკუთრება გადაწყვიტეს. დანიის ნაკრებში 46 გოლის გამტანი ტომასონი ახალი სეზონისთვის „ვილიარეალის“ უკვე მეექვსე შენაძენია. კლუბმა მანამდე იყიდა მეკარე დიეგო ლოპესი, მცველები რობერტო აიალა და ხუან კაპდევილა და ნახევარმცველები, სანტი კასორლა და რიო მავუბა.

**მაჩა ხუციშვილი**

# მისი სახელი ჩემთვის ტაბუა!

## ზინედინ ზიდანი: უნდა იცოდე, როდის დაასრულო კარიერა

**ბერლინი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი საფრანგეთსა და იტალიას შორის. 110-ე წუთი და 1:1. წუთი, როცა ზინედინ ზიდანმა კარიერა დაასრულა... ამდენი ხნის შემდეგ ზინედინ ზიდანი გერმანულ „ბილდთან" იხსენებს იმ ფინალსა და მარკო მატერაცისთან შეხლას. ამ ინტერვიუდან კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ზიზუს ისევ სძულს ადამიანი, რომელმაც პროვოკაციაზე წამოაგო და საფრანგეთს ტიტული დააკარგვინა...**



— როგორ მოგეწონათ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატი?

— საოცარი სანახაობა და მართლაც ძალიან კარგად ორგანიზებული ჩემპიონატი იყო, არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. თუმცა ბოლო ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის.

— ალბათ მარკო მატერაცის მკერდში თავურ დარტყმას გულისხმობთ, რომლის შემდეგაც წითელი ბარათი მიიღეთ...

— დიახ, რაც მაშინ გავაკეთე, მიუტევებელია ყველასთვის! მსაჯმა ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა, ნამდვილად კორექტული იყო. ხოლო ის, რომ საფრანგეთმა და ფანებმა ეს მაპატიეს, კიდევ უფრო მთრგუნავს — ალბათ მათ თვალწინ მთელმა ჩემმა კარიერამ გაირბინა, რომელშიც 2006 წლის ფინალი მხოლოდ პატარა მომენტი იყო.

— მატერაცის შეურიგდით?

*ამ დროს საუბარში ზიდანის პიარმრჩეველი ჩაერთო და სურდა, მისთვის ეს და სხვა სარისკო კითხვები აერიდებინა, თუმცა ზიზუმ იგი შეაჩერა და უთხრა: „ადროვე, თქვას, რაც სურს. მე მინდა, ჩემს მიმართ არსებული ყველა კითხვა მოვისმინო და შეძლებისდაგვარად ვუპასუხო კიდეც".*

— ეს სახელი ჩემთვის ტაბუა!

*საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ზიდანს იმ იტალიელი მცველის სახელი, რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი პროვოკაცია მოუწყო, არ წარმოუთქვამს და ამის გაკეთებას მთელი ცხოვრების მანძილზე არ აპირებს...*

— თქვენ საფრანგეთში, იტალიაში და ესპანეთში თამაშობდით. რატომ გერმანიაში არა?

— სამწუხაროდ, არასდროს მქონია შემოთავაზება მიუნხენის „ბაიერნისგან", თუმცა ყოველთვის თვალი მეჭირა და აღფრთოვანებით ვუყურებდი ამ კლუბს. ის უფრო მეტია, ვიდრე კლუბი. „ბაიერნი", „მანჩესტერი", „რეალი" და „მილანი" ევროპის უდიდესი კლუბები არიან.

— გხიბლავთ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა?

— ერთ დღეს შეიძლება ამ თანამდებობაზეც მოვხვდე. ფეხბურთი ხომ ერთადერთია, რაც ყველაზე კარგად ვიცი.

— 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კარიერა დაასრულეთ. ამჟამად რას საქმიანობთ?

— ახლა ოჯახისა და მეგობრების წრეში ვატარებ დროს. 28 წელი ვცხოვრობდი ფეხბურთით. საუკეთესო კარიერა შევიქმენი, რომელიც სავსე იყო ტკივილით, მწუხარებითა და ბედნიერებით. სპორტსმენმა უნდა იცოდეს, როდის უნდა დაასრულოს კარიერა. ფეხბურთი არ მაკლია, თუმცა კუნთები ნამდვილად მტკივა. 28 წლის ყოველდღიური ვარჯიში უკვალოდ ნამდვილად არ ქრება.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— ეს ჯერ საიდუმლოა! ერთ პროექტზე ვმუშაობ, რის გამოც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ინტენსიური ურთიერთობა მაქვს. ისინი ხომ მომავალს ეკუთვნიან...



# ცოტა ვენგერი

**ფრანგმა** ვარსკვლავმა პატრიკ ვიეირამ, რომელმაც ლონდონის „არსენალში" დიდებული წლები გაატარა, სიბერეში კი იტალიაში, „ინტერში" გადაბარგდა, თავისი ძველი კლუბის საქმეებზე საუბრისას განაცხადა, არსენ ვენგერი ცამდე მართალია, ადგილობრივი ვარსკვლავების თავმოყრას, უცხოელი ნიჭიერების ყიდვას რომ ამჯობინებსო.

თემა, რომელსაც ვიეირა შეეხო, იმდენად გახლავთ მნიშვნელოვანი, რამდენადაც ინგლისელები ვენგერს გუნდში ინგლისელთა სიმცირეს საყვედურობენ, თუმცა, ვიეირა აქ პრობლემას ვერ ხედავს:

„თუ ახალგაზრდა და ნიჭიერი ხარ, უნდა გიხაროდეს ისეთ მწვრთნელთან მოხვედრა, რომელიც ახალგაზრდებს ენდობა და გზას უკაფავს. მეორე მხრივ, თუკი გუნდს ჰყავს ფეხბურთელები და მათ არ ათამაშებს, ესე იგი, ეს ფეხბურთელები ნიჭიერები არ არიან. ასეთ შემთხვევაში მათ, თუნდაც ინგლისელები იყვნენ, სხვა არაფერი დარჩენიათ, თუ არა იმის აღიარება, რომ კლუბისთვის სარგებელი ვერ მოაქვთ. ისე, გამორიცხული არც ისაა, რომ ასეთი ფეხბურთელები „არსენალს" ვერ ადგებიან, სხვა კლუბს კი შეიძლება ძალიან კარგადაც მოერგონ. ერთი სიტყვით, საკითხი მარტივადაა: თუ „არსენალში" ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელები არ არიან, ესე იგი, ისინი კარგად ვერ თამაშობენ... ან ეშლი კოულივით სხვაგან ურჩევნიათ ყოფნა.

ამრიგად, ყველაფერი კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული, მაგრამ მეორე მხრივ, მე კარგად ვიცნობ არსენ ვენგერსაც და „არსენალსაც" და ვიცი, რომ ამ კლუბში საუკეთესოებს არასდროს არაფერში შეზღუდავენ".

შემდეგ 31 წლის ფრანგმა თავისი ყოფილი მწვრთნელი კიდევ უფრო მეტად შექო:

„ძალიან ცუდი ის არის, რომ ამ ქვეყნად არსენ ვენგერები ცოტანი არიან, ახალგაზრდა ფეხბურთელებს კი დრო სჭირდებათ. მათ შეცდომები უნდა დაუშვან, რათა ამ შეცდომებზე ისწავლონ. ახალგაზრდა ფეხბურთელთა მწვრთნელებმა, თავიანთ მხრივ, დიდი მოთმინება და რწმენა უნდა გამოამჟღავნონ. ისინი მომავალი თაობისთვის მართლა უმნიშვნელოვანეს ფიგურებს წარმოადგენენ. მახსოვს, ახალგაზრდა რომ ვიყავი და „არსენალში" მივედი, ჩემი ხელობა ჯერ კიდევ სასწავლი მქონდა. კიდევ, მშობლების სახლიდანაც გვარიანად ახალგაზრდა წავედი და, შესაბამისად, როგორც ადამიანსაც, განვითარება მჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, არსენ ვენგერის ხელში მე არა მხოლოდ პროფესიულად, არამედ ადამიანურადაც განვვითარდი".

**ბაკუნა ძიდია**

# მე ვარ ლოთი?!



**ჯეიმი კარაგერმა** სანაკრებო კარიერა რომ დაასრულა, გვეწერა, მაგრამ ის, რომ ისტორია ამით არ დამთავრებულა, არ გვითქვამს. ერთი სიტყვით, 29 წლის ფეხბურთელმა კარგა ხანს იფიქრა და რამდენიმე დასკვნა გააკეთა: ნაკრების მწვრთნელ სტივ მაკლარენის დავალებულ ცენტრალურ მცველობას თავს ვერართმევს, დარჩენილი კარიერის მიძღვნა მხოლოდ „ლივერპულისთვის" სურს და სანაკრებო კვირებში შინ დარჩენა ენერგიას დაუზოგავს.

და, აი, ამ კაცს ლოთი უწოდეს.

უფრო სწორად, ასე იყო: talk-sport-ის რადიოწამყვანმა ადრიან დურამმა გადაცემაში თქვა, მაგ კარაგერს ლოთობისგან თამაშის არაქათი აღარ აქვსო. ამის გაგონებაზე, ფეხბურთელმა, რომელიც თურმე გადაცემას უსმენდა, მთელი ინგლისის გასაოცრად ეთერში დარეკა და ცოფები ჰყარა:

„ნეტავ, ერთი ბოთლი მართლა აგელო, „ენფილდზე" ან „მილვუდში" მოსულიყავი, ჩემთვის დალევა შემოგეთავაზებინა და ნახავდი, რაც მოგივიდოდა. მეორედ არ გაბედო და, ათასობით ადამიანის გასაგონად ლოთი აღარ მიწოდო! ბოლო რვა წელიწადია, ნაკრებში ადგილისთვის ვიბრძვი და კიდევ ლოთი ვარ?! რა შემიძლია და რა არა, „ლივერპულში" გაჩვენებთ. შეიძლება ითქვას, ნაკრებში ნახევარმცველად არასდროს ვუთამაშებივარ და სწორედ ამიტომ მართლა კარგადაც არასდროს მითამაშია. იქ, მუდამ ცენტრალურ მცველობას მთხოვდნენ. მე თუ მკითხავთ, ჩემი ოსტატობით ნახევარდაცვაში თამაშს ვიმსახურებდი, მაგრამ რაკილა მწვრთნელს მცველად ვუნდოდი, ხმა არ ამომიღია, ვინ სად ითამაშებს, მწვრთნელის გადასაწყვეტია. საერთოდაც, თუ სტივ მაკლარენს სხვა ფეხბურთელები ურჩევნია, რაღაა რასაკვირი? ამ შემთხვევაში მე მთელი ჩემი ძალისა და ღონის „ლივერპულისთვის" დახარჯვას ვარჩევ. მაკლარენი ჩემზე უწინ ლედლი კინგს ათამაშებდა. ის, მართალია, ტოპ-ფეხბურთელია, მაგრამ დაშავებული იყო და მაინც მას იძახებდნენ. ასეთ დროს ჩემს ადგილას თქვენ როგორ იგრძნობდით თავს? ჯონ ტერი რომ დაშავდა, ჯონათან ვუდგეიტი გამოიძახეს. მოკლედ, რვა წელიწადია, ტოპ-დონეზე ვთამაშობ და, თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ დავამტკიცე, რომ ადგილი მეკუთვნის, ახლა, 29 წლისა რაღას შევცვლი?! მე რა, გუნდის მუდმივი წევრი ვიყავი და მოულოდნელად გამოვიქეცი? 29 წლისას არ მათამაშებენ და 32-ისას მსოფლიოს ჩემპიონატზე ვინ წამიყვანს?! ამიტომაც გადავწყვიტე, „ლივერპულში" დავიხარჯო ბოლომდე. ამ კლუბთან ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს ახლახან მოვაწერე ხელი. „ლივერპული" ყოველთვის ჩემი პრიორიტეტი იყო და მის შემადგენლობაში კარიერის ბოლომდე თამაშში ინგლისის ნაკრები ხელს მხოლოდ თუ შემიშლიდა. მაგრამ ისე არ გამიგოთ, რომ მე ნაკრებზე გავნაწყენდი. თუ ყველა დაშავდება და მაკლარენს გამოუვალი სიტუაციის გამო ჩემი გამოძახება მოუწევს, არ გავებუტები".

**ბაკუნა ძიდია**





# ყველანი ლონდონში, დესაისთან!

**7 აგვისტოს** „სტემფორდ ბრიჯზე" საქველმოქმედო მატჩი გაიმართება, რომლის ორგანიზატორიც მარსელ დესაია. „ჩელსის" ყოფილმა ფეხბურთელმა (1998-2004) კარიერა შარშანწინ დაასრულა.

მისი თხოვნით ლონდონში ბევრი ცნობილი მოთამაშე ჩავა — „სტემფორდ ბრიჯზე" ერთმანეთს მსოფლიოს ნაკრები და „ჩელსი" შეხვდებიან. ნაკრებში იქნებიან ალესანდრო კოსტაკურტა, მაურო ტასოტი, დემეტრიო ალბერტინი, ფრანკო ბარეზი, ლეონარდო, ზვონიმირ ბობანი, კრისტოფ დიუგარი, სტეფანო ერანიო, სტეფანო ნავა, რობერტო ბაჯო, ლორან ბლანი, პოლ გესქოინი, კრისტიან კარამბუ, იური ჯორკაეფი და დენის ბერხკამპი.

„ჩელსიში" კი ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელები ითამაშებენ, მათ შორის, რობერტო დი მატეო, დიდიე დეშანი, ბრაიან ლაუდრუპი და მარიო სტანიჩი.

მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცემა ფონდს, რომელიც სპორტის დახმარებით მსოფლიოში სიღარიბეს და კონფლიქტებს ებრძვის. ამ ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი სწორედ მარსელ დესაია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მარადონამ ვან ბასტენს და ზიდანს მოუგო

**ჟურნალმა** „უორლდ სოკერმა" ჩაატარა გამოკითხვა, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო გუნდი, მატჩი და გოლი უნდა გამოევლინა. ბრაზილიის 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა, მეორეზე „უნგრეთის დიდი გუნდი" (1954), მესამეზე კი ჰოლანდია (1974).

მატჩებში პირველია იტალია — გერმანიის ნახევარფინალი (4:3) მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატზე, მეორეზე „მილანი" — „ლივერპულის" ფინალი (3:3) ჩემპიონთა ლიგაში (2005), ხოლო მესამე ადგილი „რეალი" — „აინტრახტის" (1960) თამაშმა დაიკავა, რომელშიც მადრიდელებმა 7:3 მოიგეს.

1986 წელს, ინგლისის ნაკრების კარში მარადონას ჯადოსნურმა გოლმა გოლებში პირველობა არავის დაუთმო. მას მოსდევს მარკო ვან ბასტენის რინატ დასაევის კარში შეგდებული 1988 წელს, ხოლო მესამეა რეალელი ზინედინ ზიდანის გოლი „ლევერკუზენთან" ჩემპიონთა ლიგის (2002) ფინალში.

# ტოლდოს რჩება და კრუზიც






**მილანის** „ინტერი“ ფრანჩესკო ტოლდოს გაშვებას არ აპირებს. 35 წლის მეკარე „რეალმა“ და „ბეტისმა“ ამოიღეს მიზანში, თუმცა „ნეროაძურის“ ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ ესპანურ კლუბებს შეუთვალა, ტოლდო დაივიწყეთო.

ამბობენ, „რეალის“ გოლკიპერმა იკერ კასილიასმა განაცხადა, ჩემს დუბლიორად ტოლდოზე უკეთეს კაცს ვერ ნახავთო. „ბეტისის“ მწვრთნელი კი ახლა ექტორ რაულ კუპერაა, ვისაც „ნეროაძურიში“ უმუშავია და „ფიორენტინას“ ექსმეკარესთან კარგი ურთიერთობა აქვს.

„არც „ბეტისისგან“ და არც „რეალისგან“ ოფიციალური წინადადება არ მიგვიღია. გვინდა, რომ ტოლდო გუნდში დარჩეს და მჯერა, ასეც იქნება“ — აღნიშნა ბრანკამ.

იტალიური პრესის ცნობით, თუ ტოლდომ მაინც დატოვა „სან სირო“, „ნეროაძური“ მის ნაცვლად ასევე ვეტერან ჯანლუკა პალიუკას დაიმატებს. პალიუკა ახლა თავისუფალი აგენტია და ცოტა ხნის წინ თქვა, „ინტერში“ დაბრუნება და კარიერის იქ დასრულება მინდაო.

გაურკვეველია მილანელთა ფორვარდ ხულიო რიკარდო კრუზის ბედიც. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელი ცუდად არ თამაშობს და არცთუ ცოტა გოლი გააქვს, მას აქამდეც უჭირდა „ნეროაძურის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, ხოლო მომავალ სეზონში „ინტერში“, სავარაუდოდ, გაცილებით დიდი კონკურენცია იქნება. ამიტომ კრუზის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ.

„მომავალი სეზონისთვის დიდი შემართებით ვემზადებით. არც ჩემი დამოკიდებულება შეცვლილა, თავს სრულფასოვან ინტერელად ვგრძნობ და ეს კლუბი ძალიან მიყვარს. ლოგიკურიცაა, ამდენი ხანი არსად გაჩერებულვარ, თუმც თანამედროვე ფეხბურთში მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, გადაჭრით ვერაფერს იტყვი. ასეა თუ ისე, ჩემს მომავალზე და კონტრაქტზე სასაუბროდ კიდევ დიდი დრო გვაქვს“ — თქვა კრუზმა.

„ბოლონიას“ ყოფილი თავდამსხმელი ეთანხმება თავის თანამემამულე ერნან კრესპოს, რომელმაც ცოტა ხნის წინ თქვა — „ინტერში“ თავდამსხმელების სიჭარბეაო.

„რაოდენობასა და გვარებს თუ გადავხედავთ, მართლაც ასეა, კრესპოს ვეთანხმები. არცთუ ბევრ გუნდს ჰყავს ამდენი ფორვარდი. თუმცა ეს „ინტერია“ და კონკურენციაც დიდია“ — დასძინა კრუზმა.

**ჰოჰი ჰანდელაჰი**

# ანდრადე ლამის ასიანია
## ნედვედი იუვენტუსს ტოვებს?



**ჟორჟე ანდრადე** 99 პროცენტით იუვენტუსელია. მხარეებს შორის, ფაქტობრივად, ყველა დეტალი შეთანხმებულია და ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმებაღა რჩება. მან გუშინ სამედიცინო შემოწმებაც გაიარა.

„ყველაფერი ძალიან მალე მოხდა. ეს იყო სიყვარული ერთი ნახვით. ჩემი აგენტი „იუვენტუსს“ ეკონტაქტებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ კონკრეტული არაფერი იყო. მერე კი ყველაფერზე კარგად დავფიქრდი და სიამოვნებით დავთანხმდი. „იუვენტუსის“ სიტყვა გარანტის ტოლფასია“ — თქვა პორტუგალიელმა მცველმა.

29 წლის ანდრადე 2002 წელს „პორტუდან“ „დეპორტივოში“ გადაბარგდა და ლაკორუნიელთა დაცვის ბურჯადაც იქცა. იგი ამჟამად ეროვნული ნაკრების კაპიტანია — პორტუგალიის ღირსება მას 50-ჯერ დაუცავს და 3 გოლიც გაუტანია.

ანდრადე „იუვენტუსის“ ყურადღების ცენტრში მას მერე მოექცა, რაც ტურინელები „სარაგოსას“ ვერ შეუთანხმდნენ გაბრიელ მილიტოს ფასზე.

იტალიური პრესის ცნობით, „დეპორტივო“ დაახლოებით 10,5 მილიონ ევროს მიიღებს, ანდრადე კი „იუვესთან“ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და მისი ხელფასი სეზონში 2,1 მილიონი ევრო იქნება.

ამასობაში, კვლავ გაურკვეველია „ბებერი ქალბატონის“ ჩეხი ლიდერის, პაველ ნედვედის ბედი. „ბიანკონერის“ ხელმძღვანელობა ნახევარმცველთან აწარმოებს მოლაპარაკებას ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე, მაგრამ მხარეებმა საერთო ენა ჯერ ვერ გამონახეს.

პაველ ნედვედი: „ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. შეთანხმებას ისევ ვერ მივაღწიეთ. არ ვიცი, რა მოხდება და რას ვიზამ. კარიერის დასრულებაზეც ვფიქრობ“.

კიდევ ერთი იუვენტუსელის, მაურო კამორანეზის ამბავი კი გადაწყდა: იგი გუნდში რჩება.

**გიორგი ჰაჰაგაძე**

# დე სანქტისმა ფიფა გამოიყენა



**იტალიელი** მეკარე მორგან დე სანქტისი „უდინეზედან“ „სევილიაში“ გადავიდა. ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ესპანელებმა თავიანთ ვებგვერდზე უკვე დაწერეს, რომ დე სანქტისი ამ ზაფხულს გუნდის პირველი ახალწვეული გახდა.

30 წლის დე სანქტისი პირველი იტალიელია, რომელმაც ფიფას ერთ-ერთი წესის თანახმად, თავისი კონტრაქტი გამოისყიდა. ეს წესი 28 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს, თუ მათ თავიანთ გუნდში სამ წელზე მეტი ხანი გაუტარებიათ, უფლებას აძლევს, საკუთარი კონტრაქტი გამოისყიდონ.

დე სანქტისი „უდინეზეში“ 1999 წლიდან თამაშობდა. იქამდე იგი „პესკარასა“ და „იუვენტუსში“ ირიცხებოდა. ამ ზაფხულს მას „ლაციოს“, „ბეტისსა“ და სხვა კლუბებსაც უკავშირებდნენ.

**ჰოჰი ჰანდელაჰი**

## გეშინია, კევინ?

**გელზენკირხენის** „შალკეს“ პრეზიდენტმა [illegible] რგმა კევინ კურანის სიტყვა დაუწუნა და „ბილდის“ [illegible] კრიტიკას.

კურანიმ ამის წინათ თქვა, რომ კლუბი არ ყიდულობს მაღალი კლასის ფეხბურთელებს, სხვა ბუნდესლიგელები კი ვარსკვლავებით ივსებიანო.

შნუზენბერგმა „ბილდთან“ განაცხადა: „კურანის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის თუ ეშინია, მეტი უნდა იშრომოს. ახალმოსულები (ჯერმენ ჯონსი, ჰაიკო ვესტერმანი და ივან რაკიტიჩი) არც ერთ შალკელზე ნაკლებნი არ არიან. ლინკოლნისა და ჰამიტ ალტინტოპის წასვლით გუნდი არ დასუსტებულა. ისინი მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არ არიან. ლინკოლნმა მხოლოდ ექვსი მატჩი ითამაშა კარგად გასულ სეზონში, ხოლო ალტინტოპი გაზაფხულზეღა გამოცოცხლდა, მანამდე კი სამწელიწადნახევრის განმავლობაში არაფერი უკეთებია“.

## ბელამი ჩაქუჩით

**„ლივერპულის“** უელსელი ფორვარდი კრეიგ ბელამი „ვესტ ჰემში“ გადავიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩაქუჩებმა“ მასში 7 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადეს, რაც საკლუბო რეკორდია.

„ლივერპულმა“ ბელამის გაყიდვა იმიტომ გადაწყვიტა, რომ იქ ფერნანდო ტორესი და ანდრეი ვორონინი მივიდნენ და უელსელის ადგილი აღარ დარჩა.

„ვესტ ჰემისთვის“ ეს მეოთხე შენაძენია სკოტ პარკერის, ჟულიენ ფობერისა და რიჩარდ რაიტის შემდეგ.

## მოლსიც მოსულა

**36 წლის** მიხაელ მოლსი „დენ ჰაგიდან“ „ფეიენოორდმა“ გადაიბირა. ჰოლანდიელ თავდამსხმელს კონტრაქტი დაუმთავრდა და როტერდამულ კლუბს უფასოდ ერგო. მას „ფეიენორდში“, რომელსაც ბერტ ვან მარვეიკი წვრთნის, როი მაკაი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი დახვდებიან.

მიხაელ მოლსს „ტვენტეში“, „უტრეხტსა“ და „რეინჯერსში“ უთამაშია, როტერდამელებთან კი ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## ცოლით დონეცკში

**უკრაინული** მედიის ცნობით, „ლივორნოს“ ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი მეუღლითურთ დონეცკში ჩავიდა „შახტართან“ მოსალაპარაკებლად.

31 წლის ფეხბურთელს მოსკოვის „სპარტაკი“, ყაზანის „რუბინი“ და სანქტ პეტერბურგის „ზენიტიც“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ „შახტარის“ ვარიანტი მოეწონა.

## ალემაოს სიკვდილი

**„პალმეირასის“** 23 წლის ფეხბურთელი ალემაო ავარიის შედეგად გარდაიცვალა.

„ო გლობოს“ ცნობით, ბიჭი მამის დაბადების დღიდან შინ, რიოში, საკუთარი ავტომობილით ბრუნდებოდა. მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა. ადგილზევე გარდაიცვალა მისი სიძეც, ხოლო ორი ბავშვი მსუბუქად დაშავდა.

ალემაო ამ წლის დასაწყისში გადავიდა „პალმეირასში“ „იოკოჰამადან“, მაგრამ მხოლოდ სამი მატჩი ითამაშა, რადგან მუხლის ტრავმა მიიღო, „იოკოჰამას“ კი უმაღლეს დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა 18 გოლით.

## ბაბელი გაძვირდა

**„ლივერპულმა“** „აიაქსს“ 13 მილიონ 500 ათასი გირვანქა შესთავაზა რაიან ბაბელში — წერს „სანი“.

ინგლისელები თავიდან ათს იხდიდნენ და უარი მიიღეს, ცამეტნახევარზე კი „აიაქსი“ თანახმაა.

ბაბელის შეძენას „არსენალიც“ აპირებდა, მაგრამ „მეთოფეებმა“ ედუარდო და სილვა იყიდეს ზაგრების „დინამოდან“.

**გაჟა ხუციშვილი**

## შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

გაის 3:1 ტრელებორგი
გეფლე 1:1 ბრომაპოიკარნა
აიკ 0:1 ელფსბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 14 | 7 | 4 | 3 | 20:14 | 25 |
| ჰალმსტადი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:13 | 24 |
| იურგორდენი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:11 | 23 |
| კალმარი | 12 | 7 | 1 | 4 | 19:12 | 22 |
| მალმიო | 13 | 5 | 4 | 4 | 16:12 | 19 |
| ჰამარბი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:12 | 18 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:17 | 17 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:17 | 17 |
| გეფლე | 13 | 4 | 5 | 4 | 13:14 | 17 |
| გაის | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| აიკ | 13 | 4 | 4 | 5 | 11:14 | 16 |
| იორებრო | 13 | 2 | 6 | 5 | 11:18 | 12 |
| ტრელებორგი | 14 | 3 | 2 | 9 | 14:28 | 11 |
| ბრომაპოიკარნა | 13 | 2 | 4 | 7 | 10:24 | 10 |

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIII ტური

ჰაკა 3:3 ჰიკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 13 | 9 | 2 | 2 | 20:14 | 29 |
| მიუპა | 13 | 6 | 4 | 3 | 17:10 | 22 |
| ჰაკა | 12 | 6 | 3 | 3 | 16:13 | 21 |
| ტურკუ | 13 | 6 | 2 | 5 | 22:17 | 20 |
| ჰონკა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:10 | 19 |
| ჰიკ | 13 | 3 | 8 | 2 | 16:16 | 17 |
| იარო | 11 | 4 | 3 | 4 | 16:14 | 15 |
| ლაჰტი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:14 | 14 |
| კტპ | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ინტერი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:13 | 13 |
| ვაასა | 13 | 2 | 6 | 5 | 11:22 | 12 |
| ვიიკინგიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | 11 |
| ოულუ | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| მარიეჰამნი | 11 | 1 | 5 | 5 | 6:13 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 2 | რაპიდი-ტიროლი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 21:30 | 3 | რიდი-მატერსბურგი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 21:30 | 4 | ზალცბურგი-ალტახი | 1.15 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.42 |
| 21:30 | 5 | შტურმი-ავსტრია | 2.75 | 3.10 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.30 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 21 | კალმარი-ჰამარბი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 97 | მექსიკა-არგენტინა | 4.70 | 3.40 | 1.50 | 1.97 | 1.13 | 1.04 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი(20) კანადა | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 100 | ავსტრია 20-გამბია 20 | 2.75 | 3.10 | 2.20 | 1.45 | 1.22 | 1.28 |
| 23:45 | 101 | აშშ 20-ურუგვაი 20 | 1.80 | 3.20 | 3.55 | 1.15 | 1.19 | 1.68 |
| 23:45 | 102 | ესპანეთი 20-ბრაზილია 20 | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 103 | იაპონია 20-ჩეხეთი 20 | 2.25 | 3.00 | 2.65 | 1.28 | 1.21 | 1.40 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 104 | ზამბია 20-ნიგერია 20 | 3.40 | 3.20 | 1.80 | 1.64 | 1.17 | 1.15 |
| 23:45 | 105 | არგენტინა 20-პოლონეთი 20 | 1.25 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.07 | 2.69 |
| 23:45 | 106 | მექსიკა 20-კონგო 20 | 1.30 | 3.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.33 |
| 23:45 | 107 | ჩილე 20-პორტუგალია 20 | 2.40 | 3.10 | 2.40 | 1.35 | 1.20 | 1.35 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 77 | ირანი-უზბეკეთი(მალაიზია) | 1.50 | 3.30 | 5.50 | 1.03 | 1.17 | 2.06 |
| 16:30 | 78 | სამხ.კორეა-ს არაბეთი(ინდონეზია) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 119 | კიოლნი-ალემანია | 2.05 | 3.20 | 2.80 | 1.24 | 1.18 | 1.49 |
| 21:00 | 124 | ბრიონდბიუ-ოსერი | 2.40 | 3.10 | 2.45 | 1.35 | 1.21 | 1.36 |
| 21:00 | 128 | სოშო-სიონი | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |
| 21:00 | 129 | ზვოლე-ფოლკირკი | 2.05 | 3.10 | 2.80 | 1.23 | 1.18 | 1.47 |
| 21:45 | 131 | ბაზელი-ლანსი | 2.10 | 3.20 | 2.70 | 1.26 | 1.18 | 1.46 |
| 20:30 | 133 | შაფჰაუზენი-ბაიერნი | 6.00 | 4.20 | 1.30 | 2.47 | 1.06 | 1.00 |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 132 | სტ.პატრიკსი-ტოტენჰემი | 6.00 | 3.60 | 1.35 | 2.25 | 1.10 | 1.00 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | რაპიდი-ტიროლი | 1.75 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.35 | 1.60 |
| 10003 | რიდი-მატერსბურგი | 2.40 | 2.00 | 3.50 | 1.09 | 1.42 | 1.27 |
| 10004 | ზალცბურგი-ალტახი | 1.40 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 1.96 |
| 10005 | შტურმი-ავსტრია | 3.10 | 2.00 | 2.65 | 1.21 | 1.42 | 1.13 |
| 10021 | კალმარი-ჰამარბი | 2.40 | 2.00 | 3.35 | 1.09 | 1.39 | 1.25 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | რაპიდი-ტიროლი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11003 | რიდი-მატერსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11004 | ზალცბურგი-ალტახი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11005 | შტურმი-ავსტრია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11021 | კალმარი-ჰამარბი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12002 | რაპიდი-ტიროლი | 1.80 | 1.60 |
| 12003 | რიდი-მატერსბურგი | 1.60 | 1.80 |
| 12004 | ზალცბურგი-ალტახი | 1.90 | 1.50 |
| 12005 | შტურმი-ავსტრია | 1.60 | 1.80 |
| 12021 | კალმარი-ჰამარბი | 1.80 | 1.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | რაპიდი-ტიროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | რიდი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ზალცბურგი-ალტახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | შტურმი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | კალმარი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გოლი:ლუწი-1ან კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | რაპიდი-ტიროლი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | რიდი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | შტურმი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | კალმარი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე
(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | რაპიდი-ტიროლი | 1.11 | 5.70 |
| 16003 | რიდი-მატერსბურგი | 1.45 | 2.45 |
| 16005 | შტურმი-ავსტრია | 1.95 | 1.65 |
| 16021 | კალმარი-ჰამარბი | 1.45 | 2.45 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | რაპიდი-ტიროლი | 1.20 | 2.60 |
| 14003 | რიდი-მატერსბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14005 | შტურმი-ავსტრია | 2.00 | 1.80 |
| 14021 | კალმარი-ჰამარბი | 1.75 | 2.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

სუმო

# ხაკუხოს უკვე 19



**ივლისის** ბაშოს მესამე დღეს ლევან ცაგურიამ მეორე ქულა მიითვალა. კოკაი წაუგებელი ლიდერების მდევართა ჯგუფში თავისსავით მაეგაშირა ფუტენოს ძლევით ჩაეწერა. ქართველმა სეკიტორმა მეტოქეს საფირმო მინი-უვაგე (მეტოქის ქამარზე ჩაჭიდება მარცხენა ხელს ზემოდან) შეგნებულად დაუთმო, მერე კი ისე მძლავრად მიაწვა, უმალ დოჰიოზე დასცა. დადებითი ბალანსის ორ ქულამდე გასაზრდელად დღეს ცაგურია რიგით მაეგაშირა კაკურიუს დაეჭიდება.

წაუგებელი კი სამი ტურის შემდეგ ოთხი დევკაციღაა — იოკოძუნა ხაკუხო, სეკივაკე კოტომიცუკი და მაეგაშირები კიტაძაკურა და როხო.

უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე ახალასულმა ხაკუხომ საივლისო მესამე, კარიერაში კი მიჯრით მეცხრამეტე გამარჯვება ექსსეკივაკე ვაკანოსატოს წაქცევით მიითვალა. თან ამისთვის ოთხი წამი იმყოფინა. ოძეკობაზე მეოცნებე 31 წლის კოტომიცუკის ექსკომუსუბი ასასეკირიუს გასატეხად ნახევარი წუთი დასჭირდა. კიტაძაკურამ კასუგაო ჩამოიცილა, ოსმა როხომ კი ოძეკი ტიოტაიკაის აჯობა.

ასეთი რამ სუმოში იშვიათად ხდება. როხო და ტიოტაიკაი ერთად გადაცვივდნენ მაყურებლებში და იატაკს ერთაღვე დაენარცხნენ. ვერავინ გაიგო, პირველი რომელი დავარდა. მსაჯებმაც განმეორებითი რკენა დანიშნეს, რომელიც უკვე როხომ მოიგო, რითაც თანალიდერი ერთი ნაბიჯით ჩამოიტოვა. თითომარცხიანთა ჯგუფშივე არიან იოკოძუნა ასოსიორიუ, ვეტერანი ოძეკი კაიო და ორმეტრიანი ბულგარელი ოძეკი კოტოოსიუც.

დღეს ისეთი ტურია, პროგნოზების გაკეთება იოლად შეიძლება. ხაკუხო „პატარა ტანკ" ტაკეკაძეს დაუპირისპირდება. ამ 172-სანტიმეტრიან იაპონელს აწ უკვე იოკოძუნა კაცისთვის ერთხელ კი მოუგია, მაგრამ ეს სამი წლის წინ იყო და მას მერე ურთიერთშეხვედრების დასრულების შემდეგ სულ მონღოლს უხარია. ასასიორიუ, კოტოოსიუ და ტიოტაიკაი კი ისეთ მეტოქეებს დაეჭიდებიან, რომლებთანაც აქამდე ერთხელაც რომ არ დაუთმიათ ქულა.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

# იუნლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
## სლოვენია-იტალია. 6-15 ივლისი

# შორიდან წაგებული თამაში
## სამქულიანების ქაოსში ებრაელებმა იხეირეს

**ისრაელი 81:74 საქართველო**

*27:15 16:15 21:24 17:20*

ისრაელი: ოპაიონი (23), კასპი (14), დიუნი (15), მეკელი (1), გურ არი (4); კადირი (16), მატალონი (6), პუტნიკი (2), ასარე, ასაფი

საქართველო: გაფრინდაშვილი (8), ფარლალავა (14), ქოჩუა (5), დიდია (13), შერმადინი (10); მათიაშვილი (11), ცაკვავა (6), ბერიშვილი (7), ლაფანაშვილი, ნიჟნიძე



დავით უსტიაშვილი

**სულ ცოტა** დააკლდათ ქართველ ახალგაზრდებს ებრაელთა ძლიერი ნაკრების დამარცხებამდე, არადა, ისრაელი ის გუნდია, მეზობელ ჯგუფში ტოლ-სწორად რომ ეომა ბოლოლა ესპანეთს და თანაბარ ბრძოლაში ბოლოსღა აღმართა ხელები.

დავით უსტიაშვილმა პირველი ჯგუფიდან გასვლისა და A დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შემდეგ თქვა, მიზანი მიღწეულია და დანარჩენ მატჩებს გამოცდილების დასაგროვებლად გამოვიყენებთო. გამოცდილება კი არა, ქართველებს გუშინ ცოტაც რომ გამართლებოდათ, ებრაელებს დაამარცხებდნენ და ნახევარფინალში გასვლის რეალური კანდიდატები იქნებოდნენ ესპანეთისა და იტალიის ნაკრებებთან ერთად, მაგრამ...

არ გამოვიდა. საქართველომ ისრაელთან ღირსეულად წააგო. ისეთი ხასიათი გამოავლინა, იშვიათად, ჩვენებურ ნაკრებებს რომ ახასიათებდეს. უნიათოდ ჩატარებული და 13 ქულით წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ დავით უსტიაშვილის შეგირდებმა დიდი შეუპოვრობა გამოაჩინეს, ბოლო წუთებზე სხვაობა 2 ქულამდეც კი შეამცირეს, მაგრამ ის მცირედი დააკლდათ, რაც ამ თამაშს მოაგებინებდათ.

0:7 — ასე დაიწყეს ქართველებმა და მერე მთელ პირველ მეოთხედში ისინი სათოფეზე ვერ გაეკარნენ ებრაელებს. ტალ დუნმა პერიმეტრიდან დაბომბა ჩვენიანთა კალათი, ელიშაი კადირმა კი სამწამიანში არ გააჩარა ქართველი ოპონენტები და მეოთხედიც 15:27 დავთმეთ.

ჩვენიანთა ანგარიშზე 3 მოხსნა იყო, ებრაელებმა კი 14 დააგროვეს და აქედან კრაგადაც ჩანს, ვინ იყო ფარქვეშთის ბატონ-პატრონი. ქართველების ტაქტიკა ძირითადად სამქულიანებზე იყო აწყობილი, მაგრამ პირველ მეოთხედში 6 ცდიდან უსტიაშვილის ბიჭებმა მხოლოდ 1 შორი სროლა ჩააგდეს.

მეორე მეოთხედშიც არ გამოსწორებულა ვითარება, ერთი ეგ იყო, რომ გიორგი შერმადინის ნაცვლად გამოსულმა რიჩარდ მათიაშვილმა ფარქვეშ ძალები ოდნავ დააბალანსა. თუმცა დიდი შესვენებისთვის ებრაელები მაინც სოლიდურად ლიდერობდნენ — 43:30.

მეორე ტაიმში ქართველები გამოცოცხლდნენ, რაც შორი მიზნის ოდნავ გამოსწორებაში გამოხატა. რეზო დიდიამ, გიორგი გაფრინდაშვილმა და მიხეილ ბერიშვილმა სამქულიანები მიითვალეს და ერთ ეპიზოდში სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა — 48:54.

ამასობაში შერმადინი გამოფხიზლდა და ფარქვეშიდან რამდენიმე საჭირო ბურთი ჩააგდო, თუმცა ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს ებრაელთა ელვასავით სწრაფ გამთამაშებელს, 187-სანტიმეტრიან იოგევ ოჰაიონს, რომელმაც ყოველი მხრიდან დასერა ჩვენიანთა დაცვა და სწრაფი გარღვევებით იოლად იმკიდა ქულებს.

ბოლო მეოთხედის წინ ქართველები 10 ქულას აგებდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ებრაელთა ლიდერობა სულ უფრო უფერულდებოდა. უსტიაშვილის ბიჭებმა ყველა ფრონტზე გაიდგეს ფეხი. ფარქვეშ მათიაშვილი და შერმადინი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, თუმც ქართველთა მთავარ დამრტყმელ ძალად მაინც სამქულიანები რჩებოდა.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩვენიანებმა ორქულიანზე მეტი სამქულიანი ესროლეს და ეს ტაქტიკა, თუ მიზანი გიმტყუნებს, უდავოდ დამღუპველია. ქართველები ქაოტურად ისროდნენ, მათ არ ჰყავდათ გამოკვეთილი სნაიპერი, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში დიდიას და ფარლალავას შორმა სროლებმა მოგების რეალური იმედი ჩაგვისახა.

სირენამდე ორიოდ წუთით ადრე ფარლალავამ სამი ცდიდან 2 საჯარიმო ჩააგდო და ჩვენიანები მეტოქეს 70:72 მიაახლოვა. აი, აქ აღარ გაუმართლათ უსტიაშვილის შეგირდებს. ელიშაი კადირმა მიჯრით ჩააგდო სამი ორქულიანი, დიდიამაც გააცუდა შორი სროლა და ქართველები წაგებას შეეგუენენ.

დღეს დავით უსტიაშვილის გუნდი ესპანეთს შეხვდება და სასწაული იქნება, მეტოქე რომ დაამარცხოს. ხვალ კი ჯგუფის ბოლო მატჩში ქართველები ტოლძალოვან ხორვატიას შეხვდებიან.

**ირაკლი კერტაია**

# სან ანტონიოს უვიქტორო ვიქტორია



**როგორც ჩანს**, ვიქტორ სანიკიძე წლეულს ველარ გადავა „სან ანტონიოში". ნბა-ს ჩემპიონმა ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე ბოლოსწინა მატჩი გამართა და ქართველი ფორვარდი, პირველი შეხვედრისა არ იყოს, მოედანზე არ გამოჩენილა.

სანანტონიოელთა მეტოქე „ბოსტონ სელტიქსი" გახლდათ და მატჩი მეტად მწირქულიანი გამოდგა. პირველ მეოთხედში გუნდებმა მთლიანობაში 21 ქულა ჩააგდეს, საბოლოოდ კი 61:53 აღინიშნა „სფურზის" სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოსტონელებს შარშანდელ სეზონში ნაწრთობი ჯერალდ გრინი და რაჯონ რონდო ჰყავდა, სანანტონიოელებმა მაინც მოახერხეს გამარჯვება. სანიკიძის გუნდი მესამე მეოთხედში 33:42 აგებდა, მაგრამ მონაკვეთი 11:0 მოიგო და ბოლო ათწუთეულში ბოსტონელებს შანსი აღარ დაუტოვა.

„სან ანტონიოს" ულიდერა მავანმა ჯეკი ბატლერმა, ხოლო გასული დრაფტის მეორე წრეში არჩეულმა ჯეიმს ვაიტმა „დეზებს" 6 ქულა შეაშველა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ ჩვენიანის ბედ-იღბალი გვაინტერესებს, თუმც სანიკიძემ მატჩისთვის განკუთვნილი მთელი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ლას ვეგასში „სან ანტონიოს" 3 მატჩიდან სანიკიძემ მხოლოდ ერთში მიიღო მონაწილეობა. 2 დღის წინ „ვიკამ" „კლივლენდს" 8 წუთში 2 ქულა ჩაუგდო და 4 ფარიდან ასხლეტილი ბურთიც მოიპოვა.

ხვალ „სან ანტონიო" „მინესოტას" გაეჯიბრება და ამით „დეზებისთვის" ლასვეგასური ლიგა დასრულდება. კაზინოთა ქალაქში თამაშს ნიკა ცქიტიშვილი გააგრძელებს, რომელიც „დენვერ ნაგიტსის" ღირსებას იცავს და წარმატებითაც.

**ირაკლი კერტაია**

# ბიჭი, რომელიც არ ნებდება?
## ნიკა ცქიტიშვილი: უნდა დავამტკიცო, რომ ყველაფერი მაქვს, რაც მათ სჭირდებათ



**ნიკა ცქიტიშვილი** ლას ვეგასშია, იქაურ საზაფხულო ლიგაში ცდის ბედს და კიდევ ერთხელ ცდილობს ნბა-ში თამაშის უფლება გამოიმუშაოს. როგორც ხუთი წლის წინ, ის ისევ „დენვერ ნაგიტსის" მაისურშია გამოწყობილი, მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებასთან უწევს შეგუება — 2002 წელს დრაფტის მე-5 ნომერს პატივით და ალტაცებით ხვდებოდნენ და 19 წლის შესაშური მონაცემების ქართველს ლამის კლუბის მომავალთან აიგივებდნენ. ახლა კი სხვა დროა. ცქიტიშვილი ოთხი წელი იყო ნბა-ში, რამდენიმე გუნდი გამოიცვალა და ვერც ერთის შემადგენლობაში მყარად ვერ მოიკიდა ფეხი, ბოლოს ის ევროპაში წამოვიდა და ესპანეთში იყო, სანამ ამერიკიდან არ დაურეკეს.

დენვერში 216-სანტიმეტრიან ქართველ ფორვარდს გაცილებით კარგად იცნობენ, ვიდრე სხვა ქალაქებში. ცქიტიშვილი თუ სადმე შეძლებს დამკვიდრებას, ეს ისევ და ისევ „ნაგიტსია". და აი, ნიკა ისევ ამ გუნდშია, უფრო ზუსტად, ამ გუნდის დუბლშემადგენლობასთან ერთად ზაფხულის ლიგაში ღვრის ოფლს და ცდილობს დაამტკიცოს თავისი.

პირველ ლასვეგასურ თამაშში „დენვერმა" 108:104 დაამარცხა „კლიპერსი", ცქიტიშვილმა კი 24 წუთში 14 ქულა და 7 მოხსნა გააკეთა. მისი გუნდი ერთხანს 29 ქულითაც იგებდა, მაგრამ „კლიპერსმა" ბოლო მეოთხედში მიახლოება შეძლო და ლამის წაართვა გამარჯვება. ცქიტიშვილი კი მოვლენების ეპიცენტრში მოექცა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხრიდან. ერთ ეპიზოდში მან ამ შეხვედრაში თავისი მე-4 სამქულიანი ააცილა, შემდეგ კი თანაგუნდელის ნაცვლად მაყურებელს მიაწოდა პასი. „კლიპერსმა" კი სწრაფი შეტევით ჩააგდო და 10 ქულამდე შეამცირა სხვაობა.

„კეთილი იყოს შენი დაბრუნება, სკიტა!" — იყვირა მავანმა ჯეელმა შეთხელებული ტრიბუნებიდან, რასაც მალევე უკმაყოფილო გუგუნი მოჰყვა. ცქიტიშვილს იმდენჯერ აქვს ამ ლიგაში ნათამაშები, რომ მას ლას ვეგასში უკვე საკმაოდ კარგად იცნობენ. ამჯერად ქართველს უკმაყოფილო „ბუუ-თი" შეხვდნენ. მაგრამ ნიკამ მოახერხა, არ დაბნეულიყო და საქმით უპასუხა ტრიბუნებს — ახლოდან ორიანი ჩააგდო, რასაც შემდეგ შეტევაში წყვილი საჯარიმო მიაყოლა და უკანასკნელ წუთებში ორი მნიშვნელოვანი მოხსნა მოიპოვა.

რას იზამს ნიკა შემდეგ თამაშებში? რას იზამს იგი საბოლოოდ? ამ კითხვებზე პასუხები ამ დღეებში გაჩნდება. ამ გადასახედიდან კი „ნაგიტსის" მწვრთნელ ჯორჯ კარლის თქმით, „სკიტას" აქვს გუნდის შემადგენლობაში მოხვედრის შანსი.

„ჩვენ ერთ-ორი დიდი ბიჭი გვჭირდება — ამბობს კარლი — სკიტა იყო ჩვენს დარბაზში და იქ თავდადებით იმუშავა. ამასთან ის ჩვენი ორგანიზაციის მეგობარია. ვიცით, რომ მას შეუძლია ნბა-ს დონეზე თამაში, მაგრამ მოახერხებს სათამაშო დროის მოპოვებას? ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით."

ამ ლიგაზე დენვერიდან მივლენილი ჟურნალისტები ამბობს, რომ ცქიტიშვილი ოდნავ უფრო სრული ტანით ჩამოვიდა ევროპიდან და მას უკვე ველარ დაუძახებ „გამხდარ სკიტას" (Skinny Skita).

„დავმძიმდი. ესპანეთში ბევრს ვთამაშობდი, ახლა მეტოქის ფარზეც შემიძლია ბურთის მოხსნა და მარტო მსროლელად აღარ ჩავითვლები — ამბობს ნიკა — ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ ჩემმა ძველმა გუნდმა მთხოვა, მოვსულიყავი და საზაფხულო ლიგაში მეთამაშა. ესე იგი, ისინი მენდობიან, მაგრამ ცხადია, ეს არ მაძლევს გუნდში მოხვედრის გარანტიას. მე კიდევ ბევრი უნდა ვიმუშავო. „ნაგიტსს" უკვე ჰყავს კარგი მსროლელები, ასე რომ, მათ ფარზე უნდა მივეხმარო და ჩემი თავი სწრაფ თამაშში მოვიაზრო. უნდა დავამტკიცო, რომ ყველაფერი მაქვს, რაც მათ სჭირდებათ."

კმაყოფილი ჩანს ლას ვეგასში „დენვერის" მწვრთნელი ჯონ უელში — „ის გაცილებით მონდომებულია. სკიტას კარგ მოთამაშედ ქცევის შანსი აქვს, მხოლოდ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს".

ცქიტიშვილს მხარს უჭერს თანაგუნდელი ლემონდ მაურეი, რომელიც მასთან ერთად თამაშობს ლას ვეგასში და ასევე ცდილობს „ნაგიტსის" შემადგენლობაში მოხვედრას — „ჩვენ გვინდა, რომ გუნდში სკიტას მსგავსი მოთამაშე გვყავდეს, ბიჭი, რომელიც არ ნებდება. მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს არ იყო ნბა-ში, ის მაინც უმატებს, ბევრს მუშაობს. ის აღარაა მხოლოდ შორიდან მსროლელი და ეს დღესაც დაამტკიცა, როცა რამდენიმე კარგი რაღაც გააკეთა".

საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება ნიკას კიდევ მიეცემა. „დენვერი" შემდეგ მატჩში „დალასს" ხვდება.

**ირაკლი ფირცხვილი**

რაგბი

# ძველი ამბავი: გარეშე ფაქტორები

**მოსკოვის შვიდკაცაზე ჩვენმა „ლელოებმა“ არასახარბიელო შედეგი რომ აჩვენეს, უკვე გაცნობეთ. მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრებმა პოლონეთი დაამარცხა და წლევანდელი საშვიდკაცო რაგბობაც ამით დაასრულა. წინა წლებთან განსხვავებით, წლეულს შედეგებით აშკარად ვერ დავიტრაბახებთ. მოსკოვის ტურნირის პერიპეტიებზე და დებუტანტ მონაკრებეთა თამაშზე ნაკრების მენეჯერ გიორგი ასათიანს ვკითხეთ**



**— ჩვენმა „ლელოებმა“ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და თასისთვის ბრძოლასაც გამოეთიშნენ. რატომ ვითამაშეთ ასე ცუდად?**

— ყველაფრის თავიდათავი მასპინძელთა არაორგანიზებულობაა. ჯერ ერთი, მოწვევა დაგვიანებით მოგვივიდა, ხოლო კალმახელიძემ და გურგენიძემ საერთოდ წამოსვლა ვერ მოახერხეს ისევ და ისევ მოწვევების არქონის გამო. ისე გამოვიდა, რომ ათის ნაცვლად ჩვენს ნაკრებში რვა მორაგბე ირიცხებოდა და სავსებით ლოგიკურია, რომ მხოლოდ მეშვიდე ადგილს დავჯერდით.

**— და მაინც, იტალიას მოვუგეთ, მოლდოვასთან კი გავნადგურდით...**

— იტალიასთან საოცრად დაძაბული მატჩი იყო. დასაწყისში 0:12 ვაგებდით. მხოლოდ შემდეგ შევძელით თამაშის შემოტრიალება. ისედაც მოკლე სათადარიგო სკამის მქონე გუნდმა მთელი ძალ-ღონე იტალიას შეალია და იმავე დღეს ესპანელებთან გადამწყვეტ თამაშში აღარაფერი გამოგვივიდა. ესპანელებთან რუსი მსაჯი დაგვინიშნეს, რომელმაც საეჭვო ვითარებაში ჩვენი ორი მორაგბე გააგდო.

**— ვიცით, რომ მოსკოვში საქართველოს ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოვიდა. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს დებიუტანტებმა?**

— მთლიანად გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მინდა ალვნიშნო ლაშა ხმალაძის და შალვა სუთიაშვილის თამაში, მაგრამ ისევ გავიმეორებ, რომ ბიჭებმა ყველაფერი იღონეს წარმატებისთვის, ხოლო თუ შედეგს ვერ მივაღწიეთ, ეს ძირითადად გარეშე ფაქტორების ბრალი იყო.

**ზურაბ მიგრიაული**

# კარტერმა ფეხებზე დაიხედა

**14 ივლისს** ახალ ზელანდიას სამხრეთ აფრიკა ესტუმრება და სამ ერზე მორიგი ჯახი გაიმართება. ბევრი კომპეტენტური ადამიანი ფიქრობს, რომ „შავები“ იმდენად თავზარდამცემნი აღარ არიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი ავსტრალიასთან დამარცხდნენ და თავადაც ეჭვი შეეპარათ საკუთარ უძლეველობაში. სხვა რას უნდა დავაბრალოთ „შავების“ დამრიგებლის გრემ ჰენრის სიფრთხილე, რომელიც თავის ბიჭებს განსაკუთრებული მობილიზებისკენ მოუწოდებს. მაორების გამთამაშებელი დენ კარტერი კი გულწრფელად გამოუტყდა ადგილობრივ ჟურნალისტებს, საუკეთესო ფორმაში არ ვარ და მეც დახმარება მჭირდებაო: „ვიცი, რომ ბოლო დროს ბევრი მაკრიტიკებს. ვცდილობ, ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგე. ამისთვის თამაშის დროს ბურთი ხშირად უნდა მქონდეს, ფეხით თამაშიც დასახვეწი მაქვს, მაგრამ ჩემს გულშემატკივარს ვპირდები, რომ ამ შაბათისთვის ყველაფერს გამოვასწორებ.

გრემ ჰენრი გვაფრთხილებდა, მიმდინარე ტესტებზე არ მოვეშვებულიყავით და თავი უკვე მსოფლიო თასის მფლობელებად არ გვეგრძნო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ და ხელდახელ რაგბობას გადავყევით, როცა ფეხით უფრო ხშირად უნდა გვეთამაშა“.

შაბათისთვის ახალზელანდიელთა შემადგენლობა გადახალისდება, სავარაუდოდ ცენტრში ტოეოვა მაკალისტერს შეცვლის, ჰაულეტი — გირის, ხოლო სივივატუ — როკოკოს. გუნდში ასევე დაბრუნეს 2003 წლის მსოფლიო თასის დროინდელი კაპიტანი რუბენ სორნი. სავარაუდოდ, სამხრეთ აფრიკასთან მატჩამდე შემადგენლობაში კიდევ იქნება ცვლილებები და შეიძლება, სათადარიგოთა სკამზე რომელიმე ახალბედაც კი ვიხილოთ.

გრემ ჰენრის ძალიან უნდა მომდევნო შიდა ორი ტესტის მოგება და გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია: „ჩვენ შეგვიძლია უკეთესად წარმოვაჩინოთ საკუთარი თავი და ამას დავამტკიცებთ კიდეც. რაც შეეხება ცვლილებებს, მინდა, სათადარიგოებსაც მივცე შანსი და მეტი სათამაშო დრო, რათა ყოველთვის შეესაბამებოდნენ არსებულ სტანდარტებს.“

**ზურაბ მიგრიაული**



დენ კარტერი

მძლეოსნობა




ასაფა პაუელი ოქროს ზოდებს დაშორდა

# ასაფა ფეხზე მოდის

**ასაფა პაუელი** სავარაუდოდ უფრო მალე დაუბრუნდება სარბენ ბილიკს, ვიდრე ამას თავად გეგმავდა. მსოფლიოს რეკორდსმენმა თქვა, რომ თითქმის მზადაა და აუცილებლად ირბენს ორი კვირის შემდეგ რომში, ოქროს ლიგის მესამე ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ შშიბლიური იამაიკის ჩემპიონატზე მიღებულმა ტრავმამ პაუელი პარიზში ოქროს ლიგის მეორე ეტაპზე არ გაუშვა და ლიგის ოქროების წლეულსაც მოხვეჭის შანსი წაართვა. ხოლო რომამდე ასაფა შვეიცარიაში ჩავა და ლოზანას გრან პრიზე სამ თანამემამულესთან ერთად ეცდება, 4X100 ესტაფეტა მოაგებინოს იამაიკის გუნდს.

# იტალიური ულტიმატუმი



**იტალიელმა** ჭოკით მხტომელმა, 2003 წლის პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა ჯუზეპე ჯიბილსკომ მუქარით თქვა, რომ აქტიურ სპორტს თავს დაანებებს, თუ ქვეყნის ანტისადოპინგო სამსახური ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯის დოპინგის ხმარებისთვის. 28 წლის ჯიბილსკო ამბობს — სპორტთან პირნათელი ვარ და თუკი რამე მომივა, ყველაფერი სუფთად, ასე რომ, არ ვიმსახურებ ასეთ დამოკიდებულებასო. „არასდროს მიმიღია დოპინგი, არც კი მიფიქრია ამაზე“ — ბრძანა ჯუზეპემ.

**კოტე ყორშია**

მშვილდოსნობა

# მშვილდი მოზიდეთ, ქალებო!

**ლაიპციგში** მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატია გახურებული, სადაც მშვილდი ქართველმა ქალებმაც მოზიდეს. ხათუნა ნარიმანიძემ, ქრისტინა ესებუამ და ასმათ დიასამიძემ საკვალიფიკაციო ეტაპი პირად პირველობაშიც გადალახეს და გუნდურშიც. ხვალიდან კი ისინი პლეი ოფში ჩაერთვებიან. მსოფლიოს ჩემპიონ-პრიზიორები 15-ში გამოვლინდებიან, თუმცა ტურნირის დამატებით ინტერესს პეკინის ოლიმპიადის ორმოცი ლიცენზია სძენს.

144 მონაწილიდან კვალიფიკაცია 128-ამ გაიარა. პლეი ოფი კი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. ჩვენებურთაგან საუკეთესო შედეგი ნარიმანიძემ აჩვენა — 1309 ქულით 36-ე ადგილი დაიკავა. მას ესებუა ორი ქულით და ამდენივე საფეხურით ჩამორჩა. დიასამიძე (1276) კი 68-ეზე გავიდა.

სამოცდამეოთხედფინალში ნარიმანიძე 1249-ქულიან და 93-ე ადგილზე გასულ ბელგიელ სილვია გეისკენს დაუპირისპირდება. მეორე წრეში გასვლის შემთხვევაში კი იტალიელ პია კარმენ ლიონეტსა (29-ე ადგილი, 1314 ქულა) და ბელგიელ კიმ ვერპოვენს (100; 1244) შორის საუკეთესოს.

ესებუა პლეი ოფს კვიპროსელ ელენა მუსიკუთი (91; 1250) დაიწყებს, ხოლო ოცდამეთორმეტედფინალში რუს ვიქტორია ლუბანოვასა (27; 1317) და ლატვიელ ევა ციპარსონეს (102; 1236) წყვილიდან გასულს გაეჯიბრება.

დიასამიძეს გაცილებით ცუდი ბადე აქვს. ავსტრიელ იან ვარელს თუ აჯობა, მერე კვალიფიკაციის მეოთხეადგილოსან იაპონელთან, 1357-ქულიან ნამი ჰაიაკავასთან მოუწევს ბრძოლა. პირველ წრეში ეს იაპონელი კლაუდია ლანდავერდეს (125; 1190) ალბათ უპრობლემოდ ჩამოიტოვებს.

გუნდურში ქართულმა ტრიომ 3892 ქულა დააგროვა და მეთოთხმეტე ადგილი დაიკავა. პლეი ოფში კი თექვსმეტი გადიოდა და მერვედფინალში ჩვენებურთა მეტოქე მესამეადგილოსანი პოლონეთი (4003) იქნება.

**ოთარ მალლაკელიძე**



# 20 წლისა და უკვე კროსბი

**სიდნი კროსბი** ჯერ მხოლოდ ოცი წლის არის, მაგრამ უკვე შეუძლია თქვას, რომ ექვსი წლის შემდეგ 45 მილიონით მეტი ექნება — არცთუ ძალიან რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკება კანადელ ვუნდერკინდსა და „პიტსბურგ პანგვინზს" შორის წარმატებით დასრულდა — გასული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და საუკეთესო ბომბარდირი კიდევ ხუთი წლით იპინგვინებს და ამ ხნის მანძილზე 45 მილიონ დოლარს მიიღებს.

დავაზუსტოთ — კროსბის „პიტსბურგთან" ძველი კონტრაქტის კიდევ ერთი წელი აქვს დარჩენილი და ახალი ამის შემდეგლა შევა ძალაში. ამიტომაც ვთქვით, სიდნის ექვსი წლის შემდეგ 45 მილიონით უფრო მდიდარი იქნებაო.

„პინგვინების" ლიდერმა უკვე მოხსნა დიადი უეინ გრეცკის ერთი რეკორდი — სეზონის ყველაზე ახალგაზრად MVP გახდა და ამავდროულად, კროსბი NHL-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანიც გახლავთ.



# ცუბერის მაქსიმუმი

**ევროპაში** საპირველფორმულო ეტაპების პარალელურად „GP2 სერიის" რბოლებიც ტარდება. ესაა მომავლის ფორმულა — „სამეფო რბოლებისთვის" კადრების მოსამზადებელი შეჯიბრება.

შარშანწინ ჩემპიონობა გერმანელმა ნიკო როსბერგმა მოიპოვა, რომელიც უკვე მეორე წელია, მთავარ ფორმულაში დაჯირითობს, ხოლო შარშან 21 წლის ლუის ჰემილტონი გახდა უძლიერესი. შავკანიანი ინგლისელი წლეულს „სამეფო რბოლებში" ფანტასტიკურ სადებიუტო სეზონს ატარებს — უკვე ორი დიდი პრიზის მოგება შეძლო და დამაჯერებლად ლიდერობს გენერალურ კლასიფიკაციაში.

GP2-ის ყოველ ეტაპზე ორ-ორი რბოლა იმართება. ფორმულა I-ის მსგავსად, ქულებს პირველ რვა ადგილზე გასული მძღოლები იღებენ. გარდა ამისა, დამატებით ორი ქულა ერგება კვალიფიკაციის მოგებს და ერთიც იმას, ვინც უსწრაფეს წრეს გააზერხებს. მოკლედ, ერთ რბოლაში მაქსიმუმ 13 ქულის მოპოვებაა შესაძლებელი. სწორედ ამდენი იშოვა ინგლისში, სილვერსტროუნის ავტოდრომზე პირველ, 35-წრიან (180კმ) გაჯიბრებაში საემიროელმა ანდრეას ცუბერმა („აი სპორტ ინტერნეშენელი"). ეს 23 წლის პილოტის პირველი საკარიერო მოგებაა.

საინტერესოა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ვერავინ შეძლო თუნდაც ორჯერ წარმატების მიღწევა — ცხრა რბოლას ცხრა გამარჯვებული ჰყავს.

მეორე, სპრინტერულ რბოლაში (24 წრე) ყველას აჯობა ინგლისელმა ახალბედა ადამ კეროლმა, რომელმაც მეფორმულე ჯანკარლო ფიზიკელას საკუთარ გუნდში — „ფიზიკელა მოტორსპორტ" ბრაზილიელი ანტონიო პიცონია შეცვალა. 24 წლის ადამი „სილვერსტოუნზე" პირველ გაჯირითებაში მეექვსე იყო, ასე რომ, რევერსიულ „სპრინტში" სტარტზე მესამე იდგა, უკვე დასაწყისში ესპანელ როლან როდრიგესის გასწრებით ერთი პოზიციით ამაღლდა, ფინიშამდე რვა წრით ადრე კი ვენესუელელ პასტორ მალდონადოს ორმაგ მოსახვევში ადვილად აუარა გვერდი და დამსახურებულადაც იპირველა.

გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი, გერმანელი ტიმო გლოკი („აისპორტ ინტერნეშენელი") „ვერცხლის ქვაზე" ორჯერვე გამოეთიშა ბრძოლას, თუმც იმხელა უპირატესობა ჰქონდა, რომ 39 ქულით კვლავაც ინარჩუნებს მეწინავეობას. ბრაზილიელი ლუკას დი გრასი გლოკს ორი ქულით ჩამორჩება, მესამეა იტალიელი ლუკა ფილიპი (35). 24 ქულით მეოთხე ადგილს ინარჩუნებს ლეგენდარული ბრაზილიელი მეფორმულის აირტონ სენას დისშვილი ბრუნო სენა.

**გია ახალაძე**



# კალძაგე მილენიუმს გაავსებს

**უელსელი** მოკრივე ჯო კალძაგე 76,2 კილოგრამ წონაში მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, თუმც ოთხი პრესტიჟული ვერსიიდან მხოლოდ ყველაზე ნაკლებად ელიტარულის, ორგანიზაციის (WBO) საჩემპიონო ქამარს ფლობს.



ამიტომაცაა, კალძაგეს სხვა ქამრებისკენაც რომ უჭირავს თვალი. სხვა ქამრებიდან კი ორი — საბჭოსი (WBC) და ასოციაციის (WBA) დანიელ მიქაელ კესლერს ეკუთვნის და ეს ორი მოკრივე, სავარაუდოდ, 3 ნოემბერს ბრიტანეთში დაეტაკება ერთმანეთს.

ამ ორთაბრძოლის მასპინძლობის ყველაზე მეტი შანსი კარდიფს, კერძოდ კი უელსის მთავარ სპორტულ არენა „მილენიუმს" აქვს. კალძაგეს პრომოუტერი ფრენკ უორენი ვარაუდობს, რომ ჩხუბის სანახავად „მილენიუმზე" 60 ათასამდე მაყურებელი მივა და ასეთ შემთხვევაში მოკრივეები სარეკორდო ჰონორარებს აიღებენ.

# ჯონსონმა მური არჩია

**ქვემძიმე წონაში** ფედერაციის (IBF) ვერსიით მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ამერიკელი გლენ ჯონსონი, რომელმაც სახელი როი ჯონსსა და ანტონიო ტარვერაზე გამარჯვებებით გაითქვა, ტიტულის დაბრუნებას ცდილობს. IBF-ის ჩემპიონი ამ წუთისთვის ბრიტანელი კლინტონ ვუდსია და როდესაც მაისში ჯონსონმა მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო კიდევ ერთ ექს-ჩემპიონს მონტელ გრიფინს, სატიტულო ჩხუბის უფლებაც მიიღო.

თუმც 38 წლის ჯონსონი არ ჩქარობს ვუდსთან დატაკებას და ამჯობინებს, ბრიტანელამდე თავის 40 წლის თანამემამულეს ფრედ მურს შეებრძოლოს. ეს შეხვედრა 27 ივლისს მაიამიში გაიმართება.

მური ბოლოს რინგზე 2005 წელს იყო და თავისი ბოლო ექვსი ორთაბრძოლიდან ხუთში დამარცხდა. ასე რომ, აქედანვე ცხადია, მაიამიში ჯონსონი იმარჯვებს, ვისაც ეს ჩხუბი, სავარაუდოდ, ვუდსთან დაპირისპირების წინ მოსათელად სჭირდება.

# საპატიო ჩემპიონი



**მოკრივეთა** მსოფლიო საბჭოს (WBC) მამებმა თანამედროვეობის, ბევრის აზრით საუკეთესო მოკრივეს, ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს საპატიო ჩემპიონის წოდება მიანიჭეს.

შეგახსენებთ, რომ ამ ორი თვის წინ მეივეზერმა, ვისაც კარიერაში ერთი ორთაბრძოლაც კი არ წაუგია, სწორედ პირველი საშუალო წონის ქამრისთვის საჩემპიონო ჯახში ქულებით აჯობა ოსკარ დე ლა ჰოიას, რის შემდეგაც, ჯერ კრივიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება, შემდეგ კი უარი თქვა მოპოვებულ ქამარზე და თავისთვის სხვა, ქვესაშუალო წონის საჩემპიონო ქამარი დაიტოვა.

ისე, ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი ხუთ წონაში ყოფილა ჩემპიონი და ტიტული მისთვის რინგზე არავის წაურთმევია. რაც შეეხება პირველ საშუალო წონაზე უარის თქმას და ქვესაშუალოში დაბრუნებას, ეს, ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ მეივეზერს სურს, რინგზე მასავით დაუმარცხებელ ბრიტანელ რიკი ჰატონს შეხვდეს. დე ლა ჰოიასთან მოგების შემდეგ ფლოიდმა კი თქვა, კრივს თავს ვანებებო, მაგრამ ეს სიტყვები სერიოზულად არავის აღუქვამს და ყველამ იცის, რომ ამერიკელი ჰატონთან ორთაბრძოლით ფრიად დაინტერესებულია.

# კონდემ ქამარი დაითრია

**კვირას** ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში ფილიპინელმა მოკრივე ფლორან კონდემ მსაჯების არაერთხმოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა მასპინძელი მოჰამედ რაჰმანი და უმჩატეს წონაში IBF-ის ვერსიით ჩემპიონიც გახდა.

არადა, ბრძოლა მაგარი დაძაბული გამოდგა და 12-ვე რაუნდი ორივე მოკრიევმ შეტევაში გაატარა. თუმც მოქმედი ჩემპიონი რაჰმანი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში და ალბათ ამან იმოქმედა მის საწინააღმდეგოდ.

ინდონეზიელის მხარე მხოლოდ ერთმა მსაჯმა დაიჭირა (117-112) მაშინ, როცა დანარჩენმა ორმა ერთნაირი ანგარიშით 114-112 უპირატესობა ფილიპინელს მიანიჭა და ქამარიც სწორედ მას დარჩა.

# ბარეტი მთლად წამხდარა

**ერთ დროს** პოპულარული და ქამრის პრეტენდენტი ამერიკელი მძიმეწონოსანი მონტე ბარეტი სულ მთლად წახდა და უკვე მუშტის ხეირიანად ქნევასაც ველარ ახერხებს. ამის დასტურად ბარეტის ტექნიკური ნოკაუტით მარცხიც გამოდგება ნაკლებად ცნობილ თანამემამულე კლიფორდ კაუზერთან.

ბარეტმა უკვე პირველ რაუნდში გაუშვა პირდაპირი დარტყმა მარჯვენიდან და ძლივს წამოდგა. მონტეს მეორე რაუნდში კიდევ ერთხელ შემოჰკრეს ძლიერად, რის შემდეგაც ბრძოლა მალევე შეწყდა.

# ტიტულიანი ჰაიტელი

**პირველ** საშუალო წონაში WBA-ს ვერსიით ჩემპიონმა ამერიკელმა ტრევის სიმსმა ვერ შეძლო ტიტულის დაცვა და ის ჰაიტელ იოაკიმ ალკინეს დაუთმო. ბრძოლა უხეირო საყურებელი გამოდგა, რადგანაც მოკრივეები აქტიურობის მაგივრად კლინჩში უფრო ხშირად იყვნენ. ამის გამო ორივეს გაფრთხილება მისცეს. ერთ მომენტში კი, როცა სიმსმა წონასწორობა დაკარგა და ხელთათმანით ფიცარნგს შეეხო, ამერიკელს ნოკდაუნი ჩაუთვალეს.




ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სამივე მსაჯმა ალკინეს მიანიჭა გამარჯვება და ჰაიტელმაც ქამარი დაითრია.

**კახა ლომჯარიძე**

# ტარპიშჩევი ტრაპიდან ჩამოსვეს

## ამერიკელებს რუსული ჩოგბურთის პირველკაცი თვალში არ მოსდით



**ამ უქმეებზე**, ანუ 14-15 ივლისს ჩოგბურთელ ქალთა მთავარი გუნდური შეჯიბრის, ფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩებია და საყოველთაო ინტერესს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ნაკრებების დაპირისპირება იწვევს.

მატჩი ვერმონტის შტატის ქალაქ სტოუში ჩატარდება. მასპინძლები იქ უიმბლდონის დასრულებისთანავე შეიკრიბნენ და რუსი ჩოგბურთელებიც, უკვე ოკეანის გაღმა არიან, ოღონდაც თავიანთი კაპიტნის და ამავდროულად რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შამილ ტარპიშჩევის გარეშე.

საქმე იმაშია, რომ ტარპიშჩევი, ვინც ყველაფერთან ერთად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრიც გახლავთ, წინა კვირაში გვატემალაში, სოკ-ის სესიაზე იმყოფებოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად არჩევის საქმეში. ტარპიშჩევი სტოუში ჩასვლას სწორედ გვატემალიდან გეგმავდა, მაგრამ ამერიკულმა მხარემ ვიზა არ მისცა და რუსული ჩოგბურთის შეფი იძულებული გახდა, მოსკოვში დაბრუნებულიყო, სადაც აგვარებს კიდეც სავიზო პრობლემებს და ნაკრებს, ალბათ, მოგვიანებით შეუერთდება.

„ახლა გუნდთან ერთად უნდა ვიყო. ამის მაგივრად კი მოსკოვში ვზივარ და არაფრის გაკეთება არ შემიძლია“ — წუწუნებს ტარპიშჩევი, ვისაც ადრეც ჰქონია სავიზო პრობლემები ამერიკის შეერთებული შტატების მხარესთან. მაგალითად, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე მას ვიზა კი მისცეს, მაგრამ ატლანტიდან გასვლის უფლების გარეშე, ხოლო სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე დაგვიანებით მისცეს ვიზა, რის გამოც თამაშების წინ გამართულ სოკ-ის სესიაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

რუსეთის გუნდის პრობლემები მარტო ტარპიშჩევის ამერიკაში ჩასვლა-არჩასვლით არ ამოიწურება. სულ ბოლო მომენტში, უკვე მერამდენედ, ნაკრებში თამაში ტრავმის გამო იუარა მარია შარაპოვამ და მის მაგივრად სტოუში ალა კუდრიავცევა წავიდა. კუდრიავცევას გარდა რუსთა ნაკრებში ანა ჩაკვეტაძე, ნადია პეტროვა და ელენა ვესნინა არიან, ხოლო ამერიკელთა კაპიტნის ზინა გარისონის განკარგულებაში დები — ვინუს და სერენა უილიამსები, ლიზა რაიმონდი და ვანია კინგი იმყოფებიან.

აღსანიშნავია, რომ ახლახანს დასრულებულ უიმბლდონზე ვინუს უილიამსმა ერთბაშად სამ რუსს მოუგო — კუდრიავცევას, შარაპოვასა და სვეტლანა კუზნეცოვას და ამ სამიდან მომავალ ჩემპიონს წინააღმდეგობა მხოლოდ კუდრიავცევამ გაუწია — 2:6 6:3 7:5 ვინუსის სასარგებლოდ.

აქვე ვთქვათ, რომ მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს იტალიელები და ფრანგები დაუპირისპირდებიან. იტალიელთა კაპიტანმა კორადო ბარაზუტიმ ფრანჩესკა შიავონეს, მარა სანტანჯელოს, რობერტა ვინჩისა და ტატიანა გარბინს უხმო, ხოლო ფრანგთა კაპიტანი ჟორჟ გოვენი ამელი მორესმოს, ტატიანა გოლოვინის, სევერინ ბრემონისა და ნატალი დეშის იმედზეა.

# ...როგორც მიმინოს კორტზედა

## უიმბლდონი ვიდეოთვალით კმაყოფილია

**უიმბლდონის** ორგანიზატორებმა დაიცვეს ტურნირზე ვიდეოგამეორებების შემოღების პრაქტიკა და განაცხადეს, რომ სიახლე მომავალ წელსაც იქნება. ინგლისელ ჩოგბურთის ჩინოსანთა ეს გამოსვლა საჭირო მას შემდეგ გახდა, რაც როჯერ ფედერერმა „ჰოქ-აის“ (ითარგმნება, როგორც მიმინოს თვალი) სისტემა გააკრიტიკა.

„სისტემამ მშვენივრად იმუშავა და ჩვენი ყველა მოლოდინი გაამართლა. ეს სიახლე ჩოგბურთელების უმეტესობამაც სიამოვნებით მიიღო და მაყურებელიც გართობის ნაწილად აღიქვამს“ — განაცხადა „სრულიად ინგლისის მდელოს ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბის“ წარმომადგენელმა.

შევახსენებთ, რომ „ჰოქ-აის“ სისტემა, რომელიც გამეორებაზე ბურთის ტრაექტორიას აჩვენებს, ჩოგბურთის გარდა ბევრ სხვა სპორტშიც, მაგალითად, კრიკეტში, დაინერგა.

„ჰოქ-აი“ ჩოგბურთში არსებული ოთხი სლემტურნირიდან სამზე უკვე გამოიყენეს და მხოლოდ „როლან გაროსია“, რომელიც ჯერაც უარს აცხადებს ამ სიახლეზე.

**კახა ლომჯარიძე**

# ჩოგბანი შალითაში

## კიმ კლაისტერსი დედობისთვის ემზადება

**რამდენიმე თვის** წინ ჩოგბურთიდან წასული კიმ კლაისტერსი მალე დედა გახდება. ამის შესახებ მთელ ბელგიას (და მთელ მსოფლიოს) ჩოგბურთელის მამამ აუწყა, რომელსაც ერთ-ერთ ბელგიურ სპორტულ გაზეთში საკუთარი სვეტი მიჰყავს.

„თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მომავალ წელს კიმი დედა გახდება, მე კი პაპა“ — გახარებულია ძველი ფეხბურთელი ლეო კლაისტერსი.

შევახსენებთ, რომ კიმს ერთ თვეში ქორწილი აქვს — იგი ბელგიაში მოთამაშე ამერიკელ კალათბურთელ ბრაიან ლინჩს მიჰყვება ცოლად.

ისე, სავარაუდოდ, ეს ინფორმაცია დაამშვიდებს იმ ოპტიმისტებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ კლაისტერსი უკორტოდ დიდხანს ვერ გაძლებს, მალე დაბრუნდებაო. როგორც ხედავთ, კიმის ჩოგბურთში მობრუნება ახლო მომავალში ნამდვილად არ არის მოსალოდნელი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკამ დარიას ავდარი დაუყენა

**საქართველოს** პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა წარმატებით დაძლია იტალიის ქალაქ ბიელას თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 100-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ბარიერი და ძირითად ბადეში შევიდა.

საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წრეში მაკას მეტოქე რეიტინგში 196-ე ადგილზე მყოფი ბელარუსი დარია კუსტოვა იყო, რომელმაც ჩვენებურს პირველი სეტი 6:2 მოუგო. მეორე პარტიის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ჩახნაშვილმა 8:6 იმარჯვა, ანგარიში გაათანაბრა და მეტოქეც გატეხა — მესამე სეტში ქართველის უპირატესობა აშკარა იყო — 2:6 7:6 6:1 მაკას სასარგებლოდ.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ჩახნაშვილი 25 წლის არგენტინელ ნატალი გუზონის შეხვდება, ვისაც მიმდინარე კლასიფიკაციაში 887-ე პოზიცია უჭირავს და, თუ ამ არგენტინელს აჯობებს, მერე ჩვენებურის მეტოქე ან პირველ ნომრად განთესილი გერმანელი მარტინა მიულერი იქნება, ანაც ფრანგი თინეიჯერი, უნიჭიერესი ალიზ კორნე.

# ქართული დერბი ბოსტონში

**ორი ქართველი** ჩოგბურთელი ითამაშებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ბოსტონის მაგარსაფარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში.

ერთი, ანა ტატიშვილი თავისი რეიტინგით მოხვდა ძირითად ტურნირში და პირველ წრეში 18 წლისა და კლასიფიკაციაში 387-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ მერი გემბილს შეხვდება. მეორე ან სალომე დევიძე იქნება, ანაც სოფო მელიქიშვილი.

ისე მოხდა, რომ დევიძეცა და მელიქიშვილიც საკვალიფიკაციო ბადის ერთ ნაწილში მოხვდნენ და, რადგანაც საკვალიფიკაციო ეტაპის ორი წრე ორივე ჩვენებურმა გაიარა, მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

მანამდე კი მელიქიშვილმა ავსტრიელი ანა ბარტენშტეინის გზას ახალზელანდიელი შონა ლიც გაუყენა (6:7 6:3 7:5), ხოლო დევიძემ მიყოლებით ორ ამერიკელს აჯობა — კეიტ კერსონის შემდეგ ჯენიფერ ტუმბანდს 2:6 7:6 6:3 მოუგო.

# ქვაცაბაია არგენტინელით იწყებს

**გაირკვა** სოფო ქვაცაბაიას პირველი მეტოქის ვინაობა სერბეთის ქალაქ პროკუპლეის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე.

18 წლის ქართველი, ვისაც ამ წუთისთვის WTA-ს რეიტინგში 954-ე პოზიცია უჭირავს, 20 წლისა და კლასიფიკაციაში 553-ე ადგილზე მყოფ არგენტინელს, პროკუპლიეში მესამე ნომრად განთესილ ვანესა ფურლანეტოს შეხვდება.

# ითონიშვილი და ძველი კარპენტიე

**ITF-ის ეგიდით** კაცთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება იტალიის ქალაქ კარპის თიხნარზე და იქ საქართველოს მესამე ჩოგანმა ნოდარ ითონიშვილმა წარმატებით დაძლია საკვალიფიკაციო ეტაპი.

ATP-ის რეიტინგის მეორე ათასეულში მყოფმა ქართველმა ძირითად ბადეში მოსახვედრად ორ ურეიტინგო იტალიელს აჯობა — 18 წლის ნიკოლა რემედი 6:3 6:1 დაამარცხა, ხოლო 22 წლის მატეო მაურის 6:3 6:3 სძლია.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ითონიშვილს მეტოქედ ვეტერანი არგენტინელი, 34 წლის მარსელო კარპენტიე ერგო, ვინც მიმდინარე კლასიფიკაციაში 676-ე ადგილზეა, მაგრამ ოდესღაც, კერძოდ კი ზუსტად 10 წლის წინ, ანუ 1997 წელს გაცილებით მაღლა, 114-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

# მოიგე, სანამ შანსი გაქვს

## უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი ოლიმპიურ ოქროზე ოცნებობს

**როჯერ ფედერერი შესაშური სტაბილურობით აგრძელებს ჩოგბურთში არსებული რეკორდების გამეორებასა თუ მოხსნას. ამჯერად დიადმა ალპელმა ბიორნ ბორგის მიღწევა გაიმეორა და ღია პირველობათა ეპოქაში მეორე მეჩოგნე გახდა, ვინც უიმბლდონზე ზედიზედ ხუთჯერ იჩემპიონა. თან შვეიცარიელმა ეს ლეგენდარული შევედის თვალწინ გააკეთა. გარდა ამისა, „მხიარულმა როჯერმა" კარიერაში უკვე მე-11 სლემტურნირი მოიგო და 14 მეიჯორის მომგებ პიტ სამპრასის რეკორდს მხოლოდ სამი ტიტულითღა ჩამორჩება. ქვემორე ინტერვიუში ფედერერი სხვა ყველაფერთან ერთად მატჩის შემდგომ ბორგთან შეხვედრას და სამპრასის რეკორდის დამხობის საკუთარ შანსებზეც საუბრობს**



**— თქვენ მიერ კორტზე ნათქვამმა, რომ მანამდე უნდა მოიგოთ, სანამ ამის შანსი კიდევ გაქვთ, ბევრი შოკში ჩააგდო. მართლა ფიქრობთ, რომ ნადალი უკვე ქვალში გიდგათ?**

— ერთი რამ ფაქტია — მან ფენომენალური თამაში აჩვენა. გასულ წელთან შედარებით საოცარი პროგრესი განიცადა. თან წლეულს უფრო მზად იყო ფინალისთვის და მშვენიერი სათამაშო გეგმა ჰქონდა შემუშავებული. შარშან ის ფინალზე სათამაშოდ იმ განწყობით გამოვიდა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა — აქამდე მოსვლაც დიდი მიღწევა იყო მისთვის და ალბათ ფიქრობდა, რაც იქნება, იქნებაო. წელს კი მაგრად შეცვალა თამაში, მრავალ კომპონენტში მოუმატა და გაცილებით აგრესიული იყო, თან ბალახსაც აშკარად მიეჩვია. მოკლედ, ის არა მარტო თიხნარის მოთამაშე, არამედ ყოველმხრივ ძლიერი ჩოგბურთელია. ხოლო კორტზე ნათქვამში ვგულისხმე, რომ დღევანდელი თამაშით ტიტულს იმსახურებდა. ეს უძნელესი მატჩი იყო და რაფასადმი ჩემი პატივისცემა უეჭველად გაორმაგდა.

**— ამ მატჩიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდებათ?**

— დიდი ზეწოლა. თამაშს ხომ ბიორნ ბორგი, ჯიმი კონორსი, ჯონ მაკინროი და ბორის ბეკერი ესწრებოდნენ. დიდი პატივი იყო, ასეთი ხალხი ჩემს საცქერად რომ მოვიდა, მაგრამ ამან ზეწოლა გაათმაგა. ამიტომაც განსაკუთრებული იყო ბოლო მომენტი, როცა თასი აღვმართე. ეს არასდროს დამავიწყდება.

**— ალბათ კმაყოფილი ხართ იმით, თუ რამდენად ძლიერად და ზუსტად აწოდებდით გადამწყვეტ მომენტებში...**

— რა თქმა უნდა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოწოდებამ მიხსნა. ვცდილობდი, ყოველი მოწოდებისას კონცენტრირებული ვყოფილიყავი და ეს მაგრად დამეხმარა. სამწუხაროდ, თავიდან გაკეთებული ბრეიკის შემდეგ ნადალმა მალევე გამითანაბრა ანგარიში. ის მართლა კარგად თამაშობდა, მიღებაზე კი ფანტასტიკური იყო. განსაკუთრებით მეოთხე სეტში, როცა თითქმის ვერც ერთი ეისი ველარ მოვაწოდე. მართალია, ის უკანა ხაზიდან ვერ მჯაბნიდა, მაგრამ ვერც მე ვთამაშობდი ჩემებურად და ჩვეულად აგრესიული ვერ ვიყავი. საბედნიეროდ, გადამწყვეტ მომენტებში რამდენჯერმე ისევ მოვაწოდე კარგად და ამან ლომის წილი დაიდო ჩემს წარმატებაში.

**— მატჩის შემდეგ ბორგთან შეხვედრაზე რას იტყვით?**

— ეს მართლაც განსაკუთრებული რამ იყო. ის მოვიდა, გადამეხვია და მომილოცა. ყოველთვის სასიამოვნოა ბიორნისნაირ პიროვნებასთან საუბარი.

**— რას ფიქრობდით იმ მომენტში, როცა გახარებული კორტზე დაეცით?**

— არ ვიცი, მე უკვე თითქმის ვტიროდი მას შემდეგ, რაც 5:2 დავწინაურდი. მერე კი რაფას მოწოდება დაიწყო. თავიდან 15:15 იყო და გავიფიქრე, ცუდი დასაწყისი არ არის, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის მეთქი. შემდეგ მას გეიმის მოგება შეეძლო და საჭირო იყო კონცენტრირებული ვყოფილიყავი. მერე უკვე მატჩ-პოინტი მქონდა, რომელზეც კარგად ვითამაშე, მაგრამ რაფამ მორიგი სასწაული მოახდინა და სიტუაცია ისევ გაათანაბრა. მეორე მატჩ-პოინტზე კი გავიფიქრე, უფრო აგრესიულად ითამაშე და ყველაფერი გამოვივა-მეთქი. ამან გაამართლა და მერე... სიხარულის მეტი არაფერი მახსოვს.

**— ფინალის წინ გორან ივანიშევიჩთან ერთად ივარჯიშეთ. ის ცაციაა. ეს დაგეხმარათ რაფასთან?**

— კარგი იყო ნახევარი საათით ცაციასთან ვარჯიში, მით უმეტეს, რომ მანამდე მხოლოდ მემარჯვენეებთან მიწევდა თამაში. ცაციასთან ჭიდილი ყოველთვის ძნელია, განსაკუთრებით მიღებაზე. ამიტომ გორანს ვკითხე, ხომ არ გინდა, ცოტა ხნით მოწოდებაზე წაივარჯიშო-მეთქი. მანაც მიპასუხა, რა თქმა უნდა, აგერ ვარო. დიდი მადლობა მას ამ სამსახურისთვის.

**— ლეგენდების ყურადღება არ გაკლიათ — შარშან ავსტრალიაში ჯილდო როდ ლეივერმა გადმოგცათ, აშშ-ში კი ტაიგერ ვუდსი გიჭერდათ მხარს. აგერ ახლა კი ბორგის რეკორდს უმიზნებდით და ბიორნი ტრიბუნებზე იყო...**

— დიახ, მართლაც დიდი პატივია, ასეთი დიადი ხალხი რომ გიცქერს. შარშან ჩემთვის მართლაც ძალიან ემოციური მომენტი იყო, როცა თასი როდ ლეივერმა გადმომცა. დღეს კი ცოტა სხვანაირი განცდა მქონდა. ვიცოდი, თასს ბიორნი არ გადმომცემდა, მაგრამ ვხედავდი, რომ ტრიბუნებზე იჯდა და ამიტომ ჩემი მიღწევა უფრო მეამაყება. თუმც ეს დიდი ზეწოლაც იყო, რომელიც მხოლოდ მაშინ მომეხსნა, როცა მატჩი დასრულდა.

**— უკანასკნელი ექვსი სლემტურნირიდან ოთხის ფინალში რაფასთან მოგიწიათ თამაში. თქვენ შორის უკვე ნამდვილი დაპირისპირება დაიწყო, არა?**

— ძნელი სათქმელია. მე ჩემი წილი მოვიგე, მან თავისი („როლან გაროსს" გულისხმობს). ისე, დაპირისპირება ალბათ მაინც არის, ბოლოს და ბოლოს ას კვირაზე მეტია, რეიტინგში პირველ-მეორე ადგილებზე ვართ. შეიძლება, ეს ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს დაპირისპირებადაც იქცეს. მეორეს მხრივ კი, ხანდახან გულშემატკივართა იმედებს ბოლომდე ვერ ვამართლებთ, რადგანაც ყოველთვის დიდი თამაში არ გამოგვდის ხოლმე. მაგრამ სულ ხუთსეტიანი ტრილერები ხომ არ იქნება. თუმც დღეს ასე გამოვიდა და ბედნიერი ვარ, გამარჯვება მე რომ დამრჩა.

**— კარიერაში უკვე ძალიან ბევრს მიაღწიეთ. რამე ამბიცია კიდევ დაგრჩათ?**

— რა თქმა უნდა. „როლან გაროსს" თავი დავაანებოთ და არ მომიგია პარიზის მასტერსი, დევისის თასი, ოლიმპიადა და სხვა მრავალი დიდი თუ პატარა ტურნირი. მაგრამ ისინი თუ ვერ მოვიგე, ბევრი არაფერი დაშავდება. უბრალოდ, მინდა, თამაშით რაც შეიძლება დიდხანს დავტკბე. ოღონდ ეს ოლიმპიადას არ ეხება — ოლიმპიური ოქრო რომ ვერ მოვიგო, ასე მგონია მთელი ცხოვრება ღამე ძილს ვერ შევძლებ.

**— პიტ სამპრასის რეკორდამდე ცოტა, „მხოლოდ" სამი სლემტურნირის მოგებაღა დაგრჩათ...**

— ნამდვილად, ეს ხანდახან გამიელვებს ხოლმე. მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს თვითმიზნად არ მიქცევია და რომ ვერ ავისრულო, ცხოვრება ნამდვილად არ დასრულდება. სამპრასის, შეიძლება ყველა დროის უდიდესი ჩოგბურთელის, რეკორდის დაწევა იოლი ნამდვილად არ იქნება. მხოლოდ ახლა, როცა მეც საკმარისად ბევრი მოვიგე, ვხვდები პიტის მიღწევების სიდიადეს. თუმც ვფიქრობ, რომ მენტალურადაც და ფიზიკურადაც საკმარისად მზად ვარ, რომ კიდევ ოთხი-ხუთი წელი ვითამაშო და ვნახოთ, იქნებ დავეწიო კიდეც მას. ისე, ჩემი ყოფილი კერპის დონეზე ასვლა მართლაც ოცნების ასრულება იქნებოდა.

**— ვიდეოზე ბიორგის თამაშები ნანახი გაქვთ?**

— არც ისე ბევრი.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი თამაშის სტილი ერთმანეთს ჰგავს?**

— ვერ გეტყვით, გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა. ერთმანეთს ალბათ უფრო კორტზე საქციელით ვგავართ.

**— მეხუთე სეტში რაფას ზედიზედ ორ გეიმში ორ-ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. არ გაიფიქრეთ, რომ მატჩს აგებდით?**

— კი, ასეთმა აზრმაც გამიელვა. ეს ურთულესი წუთები იყო და ძალიან ვნერვიულობდი. არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა აქედან გამოძრომას, მაგრამ მოწოდებამ მიხსნა, თან საჭირო გადაწყვეტილებები მივიღე — გამოცდილებას ეს მოაქვს ხოლმე. ამიტომ, როცა ორივეჯერ გავანეიტრალე თამაში, გავიფიქრე, მან თავისი შანსები გაუშვა, ახლა კი შენი შესაძლებლობები აუცილებლად გამოიყენე-მეთქი. როგორც ხედავთ, მე უფრო გამიმართლა.

**— ამ კვირაში მავან პორტუგალიელ იუნიორთან რამდენჯერმე ივარჯიშეთ. მის შესახებ რას გვეტყოდით?**

— მასთან ერთად მონაკოშიც ვივარჯიშე 10 თუ 12 დღე. კარგი ბიჭი და კარგი ჩოგბურთელია. შეიძლება მომავალშიც ვესპარინგო, რადგანაც მომწონს მისი თამაშის სტილი. ის ერთნაირად ძლიერია ფორჰენდზეც და ბექჰენდზეც. თან ჯერ მხოლოდ იუნიორია და ბევრი ვარჯიშის შემთხვევაში სუსტ მხარეებს გამოასწორებს. იმედი მაქვს, მალე ტურში ვიხილავ და რომელიმე ტურნირზეც მომიწევს მასთან შეხვედრა.

**— მეოთხე სეტში საკმაოდ დიდხანს ედავებოდით მთავარ მსაჯს. ასე წყობიდან ალბათ ბავშვობის შემდეგ არ გამოსულხართ...**

— არა მგონია, წყობიდან გამოვსულიყავი. მსაჯს ნორმალური ტონით ველაპარაკებოდი და აბა, ეგ რა წყობიდან გამოსვლაა. წყობიდან გამოსვლა სხვა რამეს ნიშნავს და თუ ძალიან გინდათ, ერთხელ განახებთ კიდეც. თუმც ეჭვი მეპარება, გესიამოვნოთ. ისე კი, იმედგაცრუებული ვიყავი, რადგანაც დავინახე, რომ ბურთი კორტზე არ დაეცა, მსაჯიც მეუბნება, აუტი იყოო და ვიდეოგამეორება აჩვენებს, რომ ბურთი ჩავარდა. ასეთ დროს ფიქრობ, რომ ყველა და ყველაფერი შენ წინააღმდეგაა. რამდენიმე გეიმი დამჭირდა ამ მომენტის დასავიწყებლად და მადლობა ღმერთს, რომ მეხუთე სეტს მთლიანად კონცენტრირებული შევხვდი.

# გადარჩა და დარჩა



**„ტურის“** მეორე ეტაპის ბოლოს, ბელგიური გენტის ქუჩებში, ფინიშამდე 2,7 კილომეტრით ადრე საშინელი ზედახორა მოხდა, რომლისგანაც თავის დაღწევა ოციოდე მრბოლმა თუ მოახერხა, ხოლო დანარჩენებისთვის გზა ჩაიხერგა.

ეს რომ ოთხასი მეტრით უფრო ადრე მომხდარიყო, გენერალური კლასიფიკაციის სურათი კარდინალურად შეიცვლებოდა. მაგრამ, რადგანაც ბარის ეტაპებზე ფინიშისწინა სამი კილომეტრი უსაფრთხოების ზონად ითვლება, ორგანიზატორებმა ზედახორაში მოყოლილებს ეტაპის გამარჯვებულის დრო ჩაუთვალეს და, შესაბამისად, ლიდერის ყვითელი მაისურა პროლოგის მომგებ შვეიცარიელ ფაბიენ კანცელარას დარჩა.

კანცელარას მაგრად გაუმართლა. ის ზედახორის ეპიცენტრში იყო და სერიოზულ ტრავმას იღბლად გადაურჩა.

„საშინელი მომენტი იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. პელოტონი, სადღაც 65 კილომეტრი საათში სიჩქარით მოძრაობდა, როდესაც ვიღაც დაეცა და ზედახორა წარმოიქმნა. საბედნიეროდ, მგონი სერიოზულად არავინ დაშავებულა. სასტუმროში ექიმმა გამსინჯა და რბოლის გაგრძელების ნება დამრთო. გზის აქეთ-იქით უამრავი ხალხი იყო და კარგია, რომ ზედახორისას მრბოლები მაყურებლებში არ გადაეშვნენ. ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს“ — განაცხადა დაწყნარებულმა შვეიცარიელმა.

## პირველი უიღბლო რამირესია

**ფრანგული** „აგრიტუბელის“ ესპანელი მრბოლი ედუარდო გონსალო რამირესი პირველია, ვინც წლევანდელ „ტურ დე ფრანსს“ ნაადრევად გამოაკლდა. რამირესი ჯერ კიდევ ინგლისში, პირველ ეტაპზე დაშავდა — მასობრივი ზედახორისას მრბოლმა თავი ველარ შეიკავა, წინ მავალ „კაისე დეპარგნის“ ტექნიკური უზრუნველყოფის მანქანას შეასკდა და ფრანგული სუპერრბოლა ასე დაწყებისთანავე, საფრანგეთში ჩაუსვლელად დაასრულა.

## დანიელეს დანილო შეცვლის




**ფაბიენ კანცელარამ** კი თქვა, საბედნიეროდ, მგონი არავინ დაშავებულაო, მაგრამ მეორე ეტაპის ბოლოს მომხდარმა ზედახორამ ერთი მრბოლი მაინც გამოაკლო „ტურს“.

იტალიური „ლამპრეს“ საუკეთესო სპრინტერი დანიელე ბენატი ზედახორის ეპიცენტრში მოყვა და ისე დაშავდა, რომ რბოლის გაგრძელებას ველარ შეძლებს.

ბენატის მაგივრობას მეორე იტალიელი დანილო ნაპოლიტანო გასწევს და სპრინტერული ეტაპებისას „ლამპრე“, ახლა მასზე იმუშავებს. ისე, ნაპოლიტანო მშვენიერი ფინიშიორია და ეს წლევანდელ „ჯირო დიტალიაზე“ მოგებული ეტაპითაც დაამტკიცა.

## სავოლდელიმ ასტანა გაიგრძელა

**ცნობილი** იტალიელი მრბოლი, 2002, 2005 წლებში „ჯირო დიტალიას“ ორგზის გამარჯვებული პაოლო სავოლდელი ყაზახურ „ასტანაში“ 2008 წლის სეზონის ბოლომდე დარჩება.

34 წლის სავოლდელი „ასტანაში“ შარშანდელი სეზონის მიწურულს, ამერიკული „დისქავერიდან“ გადავიდა. მიმდინარე „ტურ დე ფრანსზე“ იტალიელი თავისი გუნდის ლიდერის, ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვას გრეგარის ფუნქციებს ასრულებს, თუმცა „ჯიროზე“, „ვინოს“ არყოფნაში, სწორედ სავოლდელი ითვლებოდა „ასტანას“ პირველ ნომრად და სავარაუდოდ, მომავალ წელსაც ასე იქნება.



## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



„ტურის“ გზებზე ასეთებიც მოსულა

AFP

## ფაბიენზე ყვითელი ალალია

**გუშინდელი** ეტაპი წლევანდელ „ტურზე“ ყველაზე გრძელი, 236,5 კილომეტრიანი იყო და თანაც, ინგლისსა და ბელგიაში მოგზაურობის შემდეგ „ტური“ სამშობლოში დაბრუნდა — ბელგიური ვარეგემიდან დასავლეთისკენ აილო გეზი, საზღვარი გადაკვეთა და ფრაგნულ კომპიონს უწია.

ეტაპი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ფრანგული გუნდების — „აგრიტუბელისა“ და „ფრანსაიზ დე ჟეუს“ მრბოლები, ნიკოლა ვოლანდი და მატიე ლედანუ პელეტონს მოწყდნენ და წინ გავარდნენ. ამ ორმა საფრანგეთში პირველებმა ხომ შეაღწიეს და რაღაც მომენტში მათმა უპირატესობამ 13 წუთსა და 50 წამს მიაღწია. მერე ველოქარავანი ნელ-ნელა ამუშავდა, თანაც პელოტონს რამდენიმე სხვა მრბოლიც გამოეყო და ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე ლიდერთა დუეტი კვარტეტად იქცა — ვოლანდისა და ლედანუს ბელგიელი ფრედერიკ ვილემსი და კიდევ ერთი ფრანგი სტეფან ოგე შეუერთდნენ.

კომპიონამდე 16 კილომეტრით ადრე მოწინავე ოთხეული პელოტონს ჯერ კიდევ ორ წუთს უგებდა. კიდევ ათი კილომეტრის შემდეგ სხვაობა ერთ წუთამდე შემცირდა და დარჩენილ გზაზე გაქცეულებმა უპირატესობის შენარჩუნება ველარ შეძლეს.

უკვე კომპონის ქუჩებში, ბოლო კილომეტრზე, ქარავანმა წინ მყოფი ოთხეული ჩაყლაპა და ყველაზე მთავარი და მაგარი ამის შემდეგ მოხდა — საფინიშო საქმის გარჩევა დაიწყო და იქ ტომ ბოონენს, ერიკ ცაბელს, რობი მაკივენს, ტორ ჰუსჰოვდს, რობერტ ჰანტერსა და დანილო ნაპოლიტანოს, ანუ სპრინტის დიდოსტატებს ინდივიდუალური რბოლის მეფემ, ფაბიენ კანცელარამ აჯობა.

დიახ, კანცელარამ, ვინც წინა დღეს საშინელ ზედახორაში მოყვა და კინაღამ რბოლას გამოეთიშა, ყველას დაუმტკიცა, რომ ტყუილად არ ატარებს ლიდერის ყვითელ მაისურას და მარტო დაყოფილი სტარტით რბოლაში კი არა, ფინიშის დროსაც ძლიერია.

თანაც, შვეიცარიელს ფოტოფინიში და მსგავსი რაღაცეები არ დაჭირვებია — ბოლო მეტრებზე მძლავრი ბიძგით ცაბელი, ნაპოლიტანო და ბოონენი ისე მოიტოვა უკან, რომ ფინიშამდე კარგა ხნით ადრე აღმართა ხელები გამარჯვების ნიშნად.

ბუნებრივია, კანცელარა კვლავაც გენერალური კლასიფიკაციის სათავეში დარჩა და თანაც, მისი უპირატესობა დანარჩენებთან, კიდევ უფრო გაიზარდა — ეტაპის გამარჯვებულისთვის კუთვნილი საბონუსე წამების წყალობით ფაბიენმა მეორე ადგილზე მყოფ გერმანელ ანდრეას კლოდენთან უპირატესობა 33 წამამდე გაზარდა.

### მე-3 ეტაპი. ვარეგემი-კომპიონი. 236,5 კმ

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 6 სთ 36 წთ 15 წმ |
| 2. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“) | |
| 3. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე“) | |
| 4. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | |
| 5. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლვორლდი“) | ყველას იგივე დრო |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 15სთ 12წთ 08წმ |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | +33წმ |
| 3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი“) | +41წმ |
| 4. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „დისქავერი“) | +43წმ |
| 5. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი, „კოფიდასი“) | +43 წმ |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორფოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge